დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლენა გომართელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე

წევრები:

მარიამი ხეთაგაშვილი- (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,წევრი)

ხატია კაჭარავა-(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,წევრი)

მზია შევარდნაძე- (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,წევრი)

ინგა გოგალაძე- (უცხოურიენების საგნობრივი ექსპერტი,წევრი)

ანი მეხუზლა- (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,წევრი)

ლალი აბულაძე- (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,წევრი)

მეგი კაპანაძე- (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,წევრი)

ნინო მახარაშვილი- (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,წევრი)

ლეილა ხელისუფალი - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,წევრი)

მარინა ანესაშვილი- (სპორტის საგნობრივი ექსპერტი,წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**222728145**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ღორთუბანი
იურიდიული მისამართი	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ღორთუბანი
ფაქტობრივი მისამართი	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ღორთუბანი
საფოსტო ინდექსი	**0300**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1743?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98

	%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%A6%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	ghortubani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577588323**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 1 23 0001095790, 07/09/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	6,7,8 სექტემბერი, 2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ღორთუბანი
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ღორთუბანი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ჯგუფის თავჯდომარე კოორდინაციას უწევდა ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაციას, თავიდანვე გადანაწილდა ფუნქციები, გაიწერა სკოლაში ვიზიტის დღის წესრიგი. თავმჯდომარე პერიოდულად აწყობდა როგორც სავალდებულო, ისე რიგგარეშე ონლაინ შეხვედრებს teams-ში სპეციალურად შექმნილ ჯგუფში საჭიროებისამებრ. პირველივე შეხვედრის

შემდეგ ექსპერტებმა წარმოადგინეს დამატებითი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომლის გაცნობაც საჭიროდ მიიჩნიეს ექსპერტებმა.

ვიზიტამდე ჯგუფის თითოეულმა წევრმა თავჯდომარეს წარუდგინა ვიზიტის პერიოდში განსახილველი საკითხები და შეკითხვების ნუსხა. აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც საერთოდ არ ჰქონდა ვიზიტამდე შექმნილი, ან ჰქონდა ხარვეზები. საგნობრივი ექსპერტების მიერ წარმართული გასაუბრების პროცესი სკოლის კათედრების წევრებთან წარიმართა გეგმის შესაბამისად.

ვიზიტის დროს საგნობრივი ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები კურიკულუმის ჩარჩოსთან დაკავშირებით მყისიერად იქნა გათვალისწინებული.

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების, სასკოლო დოკუმენტაციისა და გარემოს შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოთქვამს მზაობას ავტორიზაციის სტანდარტების "შესაბამის" დონეზე დასაკმაყოფილებლად, სკოლაში არის პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო, რაც დადებითად აისახება სასკოლო ცხოვრებაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

უსაფრთხოება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების*

მოსწავლეთა რაოდენობა: 60	ეთანხმება ☒	*სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

სრულ შესაბამისად შეფასდა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადნსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.4		ა)მათემატიკა - სასურველია შეიქმნას 2023-2024 სასწავლო წლი დაწყებამდე მათემატიკაში, დაწყებით კლასებშიში, თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი

		სტანდარტის შესაბამისად ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამასთან, კომპლექსური დავალებების პირობების შექმნისას გათვალისწინებულ იქნას დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან მიმართებით. ბ)საზოგადოებრივი მეცნიერებები - - რუბრიკები სასურველია დაიხვეწოს, რათა ისინი მაქსიმალურად მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. გ)სპორტი - სასურველი იქნება სამომავლოდ შეიმუშაონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კურიკულუმისთვის შერჩეული სასწავლო თემების მიხედვით
ინდიკატორი *2.2.2.4*	„შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი“	*ა) მათემატიკა - სასურველია შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან შეიქმნას თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე.* *ბ) სპორტი - სასურველი იქნებოდა ფიზიკური აღზრდაში*

		შეფასების სისტემის დახვეწა, მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა. სასურველი იქნებოდა შემოთავაზებული სადიაგნოსტიკო შეფასების შერჩეული ინსრტუმენტის სასწავლო წლის განმავლობაში 2-3 ჯერ გამოყენებაც, რაც დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი
ინდიკატორი 2.2.2.5	„სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“	სასურველია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმ დაიხვეწოს/გაუმჯობესდეს, ნაბიჯები და პროცედურებ დაკონკრეტდეს, გაკეთდეს მოსწავლეთა შეფასების სისტემ ვერიფიკაციის მექანიზმზე მეტი აქცენტირება და შეირჩ შესაბამისი ინსტრუმენტები, რომლითაც განხორციელდებ აღნიშნული პროცესი.
სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)**	**რჩევა**
ინდიკატორი 1.1.2.4	„განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს“	*სასურველია შეიქმნას 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდ მათემატიკაში, საბაზო საფეხურის კლასებში, თითოეულ შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტ შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველ შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელ*

		შეფასების რუბრიკები. ამასთან, კომპლექსური დავალებებ პირობების შექმნისას გათვალისწინებულ იქნას დავალებ შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა ეროვნული სასწავლ გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზ ცნებებთან მიმართებით.
ინდიკატორი 2.2.2.1	„სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით“	*საზოგადოებრივი მეცნიერებები* - სკოლას ვურჩევდი, რომ მეტ აქცენტი გაეკეთებინათ საგნობრივ საკითხებზე, საკითხ კლასტერზე, რათა ისინი მაქსიმალურად მოერგოს მოსწავლეთ საჭიროებებსა და ინტერესებს.
ინდიკატორი 2.2.2.4	„შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი“	ა)მათმატიკა - სასურველია შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან შეიქმნას თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინა რე. *ბ)სპორტი* - სასურველი იქნებოდა ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის დახვეწა, მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა. სასურველი იქნებოდა

		შემოთავაზებული სადიაგნოსტიკო შეფასების შერჩეული ინსრტუმენტის სასწავლო წლის განმავლობაში 2-3 ჯერ გამოყენებაც, რაც დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი
ინდიკატორი *2.2.2.5*	„სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“	სასურველია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმ დაიხვეწოს/გაუმჯობესდეს, ნაბიჯები და პროცედურებ დაკონკრეტდეს, გაკეთდეს მოსწავლეთა შეფასების სისტემ ვერიფიკაციის მექანიზმზე მეტი აქცენტირება და შეირჩ შესაბამისი ინსტრუმენტები, რომლითაც განხორციელდებ აღნიშნული პროცესი.
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი , საბაზო საფეხური)	რჩევა
კომპონენტი 2.2	კურიკულუმის განხორციელება	*სკოლას მიეცა რჩევა, მოაწყოს საბუნებისმეტყველ ლაბორატორია და შეიძინოს ლაბორატორიისთვის საჭირ ინვენტარი და რესურსები.*

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას	სასურველია, სკოლამ მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად, გაწეროს სკოლაში დასაქმებული სხვა პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც.
ინდიკატორი 3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორ საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალურ რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებ წევრებისთვის.	*სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს საბიბლიოთეკო წეს შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგ*
ინდიკატორი 3.6.1.2	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისავდომია მოსწავლეებისა და პერსონალისთვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.*	*სასურველია, სკოლამ შექმნას მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციის და სარგებლობის წესი*
ინდიკაოტორი 3.6.3.3.	საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესშ სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლ იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხ გასაუმჯობესებლად.	სასურველია, სკოლამ „საზოგადოებასთან ურთიერთობ წესი“ მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.1.1	სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდა ხელს უწყობ მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.	_სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს მოსწავლის გარემოსთ ადაპტაციის მექანიზმი.

ინდიკატორი 4.2.1.5	*სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივებ მხარდაჭერას.*	*სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს წინამდებარე დასკვნაში ასახულ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 6 სექტემბრის პირველ სხდომაზე და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ 2023 წლის 7 სექტემბერს პირველ სხდომაზე. სკოლის 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული სკოლის მისია და ხედვა, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

სკოლის მისია: სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლა ზრუნავს ეროვნული ინტერესებისა და ტრადიციების დამცველი, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი, კომუნიკაბელური, ზნეობრივად, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი მოზარდის ფორმირებაზე, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, მეცნიერული, ეკონომიკური და ბუნებრივი მონაპოვრების დაცვას, განვითარებასა და მომავალი თაობის მსოფლიო სივრცეში თვითრეალიზაციას.

სკოლის ხედვა: 2030 წლისთვის ვიყოთ ძლიერი საგანმანათლებლო დაწესებულება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, სკოლის ყველა თანამშრომელი ზრუნავს ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ, სულიერ, განვითარებაზე,

რათა ჩამოყალიბდეს სოციუმის სრულუფასოვან წევრად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სწავლება და სწავლა უნდა იყოს ყველასთვის განსხვავებული. სკოლის ყველა თანმშრომლს კარგად ესმის, რომ არ არსებობს სწორხაზოვანი სწავლება, რადგან ყველა ბავშვს აქვს ინდივიდუალური ნიჭი, შესაძლებლობა და განვითარების განსხვავებული პოტენციალი, ამიტომ სკოლა ზრუნავს, თითოეულმა მოსწავლემ შეიგრძნოს და დაინახოს სკუთარი განვითარების პროგრესი. როგორ? თანადგომით, პასუხისმგებლობით, თანამშრომლობით, სიყვარულით, ერთგულებით. მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან ღირებული სასწავლო გამოცდილებით, სწავლება/სწავლის ინოვაციური მეთოდებით, აქვთ საკუთარი განვითარების ინდივიდულური გზა. ისინი არიან მტკიცე, თუმცა სიკეთითა და მიუკერძოებლობით გამსჭვალული. სკოლა მიმართულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების, პოტენციალისა და განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენასა და მაქსიმალურად განითარებაზე. ხელს უწყობს თითოეული ბავშვის ცხოვრებას და წარმატებას დღევანდელ საზოგადოებაში სკოლისა და ოჯახის კონსტრუქციული თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის.

შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლა სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები კარგად ასახავს სკოლის საჭიროებას. სკოლის პრიორიტეტებისა და გამოწვევებიდან გამომდნარე უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს აკონტროლებს კამერები. სკოლას დირექტორის ბრძანებით უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ჰყავს გამოყოფილი. მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე მორიგე მასწავლებლები ზრუნავენ. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტული მიმართულებით სკოლა ახორციელებს პროექტებს.

2022-2023 სასწავლო წელს განხორციელდა პროექტები გარემოს დაცვის მიმართულებით. სასკოლო პროექტებში ჩრთულია მთლი სასკოლო საზოგადოება.

შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა დოკუმენტის სახით, რომელშიც გაწერილია სკოლის მისია და ხედვა. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 6 სექტემბრის პირველ სხდომაზე და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ 2023 წლის 7 სექტემბერს პირველ სხდომაზე. სკოლამ ინტერვიუს დროს აღნიშნა , რომ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებებს გადახედეს, ჩაატარეს კვლევა. სკოლამ წარმოადგინა კვლევის დამადასტურებელი მასალა - შევსებული კითხვარები. მისიის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაზე გავლენა იქნონია სასკოლო საზოგადოების აზრმა/კვლევის შედეგებმა. შევსებული კითხვარების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა მისია. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის დირექციის განმარტებით მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლის საზოგადოების მიერ იქნა შემუშავებული და გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია მათ მიერ, რადგან ინტერვიუირებისას მათი მხრიდან აქცენტები კეთდებოდა

სწორედ იმ საკითხებზე, თემებზე, რაც აღწერილია მისიაში და ხედვაში. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების მიერ შევსებული კითხვარები, სადაც მოცემული იყო შეკითხვები სკოლის მისიასთან დაკავშირებით. კითხვარი შევსებული ჰქონდა სასკოლო საზოგადოების წევრებს. სასკოლო საზოგადოების უმრავლესობა ეთანხმებოდა და იზიარებდა მისიას. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოებისთვის მოაწყობს შეხვედრა და პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს განახლებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რათა ყველა დაინტერესებული პირისთვის იქნას გაზიარებული. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლას აქვს ვებ-გვერდი. ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, შესაბამისად სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლის ფოიეში საჯაროდ არის გამოკრული სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც დეკრელირებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. დამრიგებლებლებთან და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ 2023/2024 სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო სასწავლო გეგმას გააცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს. სკოლა გეგმავს 2023/2024 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის შენობაში დიდ ფორმატზე დაიტანოს და გამოაკრას სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის **115** სექტემბრის N448 ბრძანებით. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
2. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
3. კვლევის მასალა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით.
5. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
6. სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 6 სექტემბრის N49 ბრძანება "სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ", შესაბამისად სკოლას აქვს ცალკე დოკუმენტის სახით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყების წინა პერიოდში სკოლა ახორციელებს წინა სასწავლო წლის მონიტორინგს და შეფასებას, იყენებს სასკოლო

საზოგადოების უკუკავშირს, აანალიზებს მონაცემებს და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიმუშავებს მომდევნო სასწავლო წლის გეგმებს. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. სკოლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტრის 2023 წლის 6 სექტემბრის N52 ბრძანებით. სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა თავსებადია სკოლის მისიასთან და გათვალისწინებულია მიზნები, რომელიც მისიის განხორციელებას შეუწყობს ხელს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მოთხოვნებისა და სკოლის მიერ 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს გაკეთებული თვითშეფასების საფუძველზე. ასევე, მასში გაწერილი მონაცემები სრულ თანხვედრაშია კათედრის და სამეურვეო საბჭოს ოქმებთან და სკოლის საზოგადოებასთან შეხვედრისას განხილულ საკითხებთან. სამოქმედო გეგმაში მოცემულია 2023/2024 სასწავლო წელს დაგეგმილი აქტივობები/ შინაარსი, პასუხისმგებელი პირები და ვადები.

შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს: 1.სტრატეგიულ მიზანს, რომელიც განსაზღვრულია ესგ-სა და სკოლის თვითშეფასების საფუძველზე; 2.

ამოცანებს, რომელიც მიმდინარე სასწავლო წელს უნდა განახორციელოს სკოლამ; ვადას, რომლის პერიოდშიც უნდა განხორციელდეს კონკრეტული აქტივობა; 5. პასუხისმგებელ პირებს, რომელიც განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობაზე.

ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
2. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 6 სექტემბრის N49 ბრძანება "სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ". სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს (თავი 12. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება). მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. მეთოდოლოგიაში მოცემულია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ორი ალტერნატიული გზა. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება ხდება სასწავლო წლის მანძილზე. კერძოდ, დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის კონტროლით, სტრუქტურული ერთეულების მუშაობაზე დაკვირვებით. მასწავლებელთა/ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშების, კათედრების, პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმების საფუძველზე. **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ცნობილი და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეთათვის. ვიზიტის პროცესში განხორციელებული ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ გაზიარება ხდება,

სასკოლო საზოგადოების პროცესში ჩართულობითა და უკუკავშირის მიღებით. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ანგარიში შეეხება, როგორც ფინანსურ ასევე, სასწავლო მხარესაც. ორივე მიმართულებით განხორციელებული აქტივობები სკოლის სამოქმედო გეგმის ნაწილია. გარდა ამისა სკოლა ცდილობს გეგმით განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა საჯარო გახადოს და მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას. მშობლები ჩართული არიან პროექტების განხორციელებაში, რაც დასტურდება დოკუმენტით, სადაც ჩანს პროექტში მშობელთა ჩართულობა. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლამ 2023 წლის სექტემბერში დაამტკიცა სტრატეგიული განვითარების გეგმა, შესაბამისად მისი მისი მონიტორინგის შედეგებიც ამ ეტაპისთვიის ვერ იქნება საჯარო. ამიტომ, **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დადგემვის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის თანახმად და სკოლის დირექციასთან ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოიყენება მოხდება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. მას შემდეგ რაც სკოლა განახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს დაწესებულების დირექცია შეიმუშავებს განვითარების სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს.

ამ ეტაპისთვის **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *მასწავლებლების, კლასის ხელმძღვანელების, კათედრების ანგარიშები.*
2. *დირექტორის ანგარიში*
3. *პროექტები მშობელთა ჩართულობით.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშტატო განრიგი შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი და რამდენიმე სტრუქტურული ერთეულის: დისციპლინური კომიტეტისა და პედაგოგიური საბჭოს დებულებები. ასევე სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებული დირექტორის 2023 წლის 21 აგვისტოს #38 ბრძანებით. სხვა დანარჩენი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირება დასტურდება შესაბამისი ოქმებით. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გამიჯნული და გადანაწილებული. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს. დირექტორის უფლება-მოვალეობები დირექტორის ეთიკის კოდექსის შესაბამისად, ხოლო მასწავლებლის უფლება-მოვალეობები მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად არის განსაზღვრული. სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებული ფუნქციები, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმასთან. მოიცავს ყველა

იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს ემსახურება.

ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
2. სტრუქტურული ერთეულების დებულებები
3. შრომითი ხელშეკრულებები
4. სკოლის შინაგანაწესი
5. ერთწლიანი სამუშაო გეგმა
6. საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის მართვის პროცედურები რეგულირდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით, საშტატო განრიგით, საათობრივი ბადით, შინაგანაწესით. თანამშრომელთა ხელშეკრულებები ეხმარება სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვაში. კანონმდებლობიდან გამომდინარე თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მასთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მისი უფლება-მოვალეობები, თანამშრომლები ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, რაც შინაგანაწესზე მათი ხელმოწერებით დასტურდება. ახალი კადრის აყვანა სკოლაში ხდება საჭიროებიდან გამომდინარე კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისია მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით. სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ამოცანებს, მართვის სტრატეგიას, კადრების მოზდვისა და შერჩევის სტრატეგიას, მასწავლებლის მიღების წესს, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას, გაწეული სამუშაოს შეფასების ეტაპებს, პროფესიული განვითარების ეტაპებს, თანამშრომელთა ინიციატივების წახალისებასა და მოტივაციას. ამიტომ, **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები სრულად არის დაკმაყოფილებული.**
2. თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება დირექტორის ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით მათი შესაძლებლობების და საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. მაგალითად კლასის ხელმძღვანელის ფუნქციის დაკისრება, მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა, საგანგებო სიტუაციებში სკოლის მართვის გეგმის მიხედვით

ფუნქციათა გადანაწილება, პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა და სხვ. პანდემიის პერიოდშიც თერმოსკრინინგის ჩატარება, დისტანციისა და ჰიგიენური პირობების დაცვაზე მონიტორინგის განხორციელებაც კონკრეტულ თანამშრომლებს ჰქონდათ დავალებული. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი და იქმნება საკონკურსო კომისია. კომისია შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს და საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისწავდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www. pedagogi.ge / teachersjobs.ge. საჯარო სივრცეში კონკურსის გამოცხადებისთანავე იქვე მითითებულია ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი. პერსონალის შერჩევის წესი გამჭვირვალეა, დაცულია ობიექტურობა. აპლიკანტს ეცნობება შედეგები და ეძლევა დრო გასაჩივრებისთვის. სკოლა მოტივირებულია პროფესიონალი კადრის შერჩევისთვის. კონკურსი ძირითადად მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა, რაც გამორიცხავს არაკვალიფიციური კადრის მოხვედრას თანამდებობაზე და მეორე ეტაპზე ხდება აპლიკანტის პიროვნული და პროფესიული უნარების გამოკვლევა გასაუბრების გზით. კომისიის წევრებს შემუშავებული აქვთ აპლიკანტის შეფასების სქემა, აფასებენ ინდივიდუალურად და შედეგების მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებას. პოზიციაზე შეირჩევა ქულათა ჯამით საუკეთესო შედეგის მქონე აპლიკანტი. კანდიდატების შეფასების შემდეგ, კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. პერსონალის პირადი საქმეებისა და eschool-ის ბაზის გადამოწმებით დასტურდება კადრების კვალიფიკაცია. სკოლაში დასაქმებულია 13 მასწავლებელი, აქედან 6 მასწავლებელს აქვს "უფროსი მასწავლებლის სტატუსი" 1 მასწავლებელს - წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო 6 მასწავლებელს არ აქვს სტატუსი. <u>თუმცა სკოლას არ აქვს</u>

შემუშავებული მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამასთან, სკოლაში არის შემთხვევები, როცა მასწავლებელი მისი კვალიფიკაციის შესაბამისი საგნების გარდა ასწავლის სხვა საგნობრივი ჯგუფის საგნებს: ეკოლოგის სპეციალობის მქონე პირი ასწავლის ქიმიას, ხელოვნებას, ბიოლოგიას; ხელოვნებათმცოდნე - ქართულ ენასა და ლიტ-ას; ფინანსური და ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის სპეციალისტი - რუსულ ენას. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული გამონაკლისები დაშვებულია კადრების სიმცირის გამო. თუმცა სკოლა მზად არის გამოაცხადოს ღია კონკურსები კვალიფიციური კადრების მისაღებად. სკოლან წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობის გეგმის მიხედვით დგინდება, რომ სკოლამ ბრძანებით დაამტკიცა მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი. წესში გაწერილია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. (2023 წლის 13 სექტემბრის #67 ბრძანება). სასურველია, აღნიშნულ დოკუმენტში გაიწეროს სკოლაში არსებული ყველა თანამდებობის შესაბამისი საკვალიფიკაცო მოთხოვნები. შესაბამისად, **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის აყვანის გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია, მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სააპელაციო კომისია. სკოლის ორგანიზაციული კულტურა გუნდურობის პრინციპს ეფუძნება, გუნდში ფუნქციები გადანაწილებულია შესაძლებლობების, ინტერესების და კვალიფიკაციის მიხედვით. სკოლის მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. სკოლაში შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და

განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები, მათ ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, გადაწყვეტილებების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. თვალსაჩინოა, რომ სკოლა მუშაობს გუნდური პრინციპით, რა დროსაც თანამშრომლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებული სამუშაო პრაქტიკის დანერგვა და განზოგადება. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ერთ-ერთ მექანიზმია პედაგოგებს შორის პედაგოგიური პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების, ტრენინგზე თუ კონფერენციაზე მიღებული სიახლეების, მიდგომების, მეთოდების გაზიარება, ახალი იდეების მხარდაჭერა. წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის ძირითადად ხდება კათედრებზე და პედსაბჭოზე. შექმნილია ლიდერ მასწავლებელთა მუშა ჯგუფი, რომელიც ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების პროექტში და იქ მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. გამოცდილების გაზიარების მიზნით ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებაც, იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო თუ საკლასო პროექტები. რაც შეეხება აღიარებას, სკოლას აქვს პრაქტიკაში სხვადასხვა აქტივობებში აქტიურად ჩართული მასწავლებლების თუ პერსონალის დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოება, სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მადლობის გამოცხადება. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებლის წახალისების წესიც. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას აქვს ფინანსური შესაძლებლობაც, პერიოდულად გასცემს ფულად პრემიებს წახალისებისა და მოტივაციის მიზნით, რაც ასევე ასახულია სკოლის ბიუჯეტში. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
2. *სკოლის შინაგანაწესი*
3. *თანამშრომელთა ხელშეკრულებები*
4. *დანიშვნის ბრძანებები*
5. *ღია კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის და წესის დამტკიცების ბრძანებები და ოქმები*
6. *პერსონალის პირადი საქმეები (კადრების აღრიცხვის ფურცელი, ტრენინგების გავლის ჩანაწერები)*
7. *პერსონალის პირადი საქმეები*
8. *სკოლის ბიუჯეტი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალის შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესი, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების ეტაპები. ასევე კათედრების სხდომის ოქმების გაცნობისას ირკვევა, რომ 2022-2023 სასწავლო წლის პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი, გაკვეთილებზე დასწრება, პროცესის დიაგნოსტირება და სწავლების ხარისხის შეფასება. გამოიკვეთა ძლიერი და სუსტი მხარეები. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის შეფასება ხორციელდება მათ მიერ შესრულებული დავალებების ხარისხის შემოწმებით. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებელთა თვითშეფასების, უკუკავშირის საფუძველზე კათედრის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება და ა. შ. რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ სხვა პერსონალს, დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მათზე სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი ძირითადად

დაკვირვების და ხელშეკრულებებში გაწერილი მოვალეობების შესრულების ხარისხით. ასევე კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლა ადგენს, რა მიმართულებით სჭირდება პერსონალს განვითარება-გადამზადება. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლაში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები ჩართულნი არიან როგორც სავალდებულო ტრენინგებში, ასევე სხვადასხვა პროექტების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში, სემინარებსა და ქოუჩინგში. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას, პედაგოგები ურთიერთგამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით ივითარებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. სკოლა ყველანაირ პირობას უქმნის მასწავლებელს, მონაწილეონა მიიღონ ტრენინგებში. სქემით გათვალისწინებული სავალდებულო აქტივობების ფარგლებში მასწავლებლები გადიან ყოველწლიურად ტრენინგს და არჩევანის გაკეთების დროს ითვალისწინებენ დირექციისა და კათედრი რეკომენდაციას. სკოლაში არის მამოტივირებელი გარემო კარიერული ზრდისთვის. თანამშრომლობითი, უსაფრთხო გარემო, სასკოლო კულტურა, ურთიერთგაზიარება და გუნდური მუშაობის პრინციპი ყველა მასწავლებელს აძლევს საშუალებას პროფესიული და კარიერული ზრდისთვის. USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში მასწავლებლები გადიან სისტემატურ გადამზადებას. სკოლის პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა აისახება სასკოლო კურიკულუმის ხარისხზე. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს კარგი გამოცდილება, სასკოლო კულტურის ნაწილად ქცეული ტრადიცია, რომელიც ხელს უწყობს ახალ თანამშრომელს ადვილად ადაპტირდნენ სასკოლო გარემოსა თუ სასკოლო საზოგადოებასთან. ამის დასტურია ბოლო წლების მანძილზე მიღებული თანამშრომლები. მათთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი თავს სასკოლო გუნდის განუყოფელ ნაწილად, სრულფასოვან წევრებად თვლიან. ახალ კადრებს აცნობენ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის კულტურასთან შეგუების პროცესს. სკოლის პერსონალისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია სკოლის მიერ. ინიციატივებს ძირითადად ზეპირსიტყვიერად აფიქსირებენ თანამშრომლები. კათედრის სხდომებზე ხდება პედაგოგთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი ქმედებების გაწერა კათედრების მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმებში.

ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*
2. *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
3. *ტრენინგების შემდეგ გაცემული ცნობები და სერთიფიკატები (მასწავლებლების პირადი საქმეები)*

4. კათედრის სხდომის ოქმები
5. სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სკოლის მისიას, მიზნებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომინიკაციის გააქტიურებას და ა.შ. ამ მიმართულებების მართვა არის ერთი მთლიანი პროცესი, რომელიც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით და სხვა. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია. აღნიშნული დასტურდება ასევე ოქმებით, მასწავლებელთა რეფლექსიებითა და კათედრების პორტფოლიოებით. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი,რომელიც განსაზღვრავს ხარისხზე პასუხისმგებელ პირებს, სკოლაში მიმდინარე პროცესებს, ხარისხის უზრუნველყოფის წესს, სკოლაში მიმდინარე პროცესების რისკების შეფასებას, შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელებას. აღნიშნული დოკუმენტი ძალაში შევიდა 2023 წლის 6 სექტემბრიდან. შესაბამისად, ვიზიტის დროს ვერ შემოწმდა დოკუმენტში გაწერილი პროცესების პრაქტიკაში დანერგვის ხარისხი. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები არის დაკმაყოფილებულია.**

2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესებს სკოლა აღწერს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. სკოლის შინაგანაწესის, საქმედო გეგმი, სასკოლო გეგმის, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ოქმების შესწავლით და გასაუბრებებით დადასტურდა, რომ სკოლა გააზრებულად მართავს მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. სკოლა შეიმუშავებს წლიურ სამოქმედო გეგმას, რაც შემდგომ აისახება კურიკულუმის შემუშავებასა და განხორციელებაში. სწორად იმართება ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსები, დაცულია უსაფრთხოება და წესრიგი, სკოლა ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სკოლა პროცესებს მართავს სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით. ამიტომ, **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი განცხადებებისა და საჩივრის განხილვის ვადები და პროცედურები, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურების ფუნაცია-მოვალეობები. ასევე ცალკეული პროცედურული საკითხები დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით. თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სურვილის შემთხვევისთვის, ასევე, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის სკოლაში მუშაობს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. კონკურსების შემთხვევაში იქმნება საპრეტენზიო კომისია.

დანერგილია სემესტრული ნიშნის გასაჩივრების მექანიზმი და პროცედურა. ეს პროცედურა აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელში დეტალურად არის გაწერილი რისი უფლება აქვს თითეოულ მათგანს. ასევე სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. შინაგანაწესით დადგენილი რეაგირების ფორმები და პროცედურები გამჭვირვალეობისა და სამართლიანობის დაცვის მიზნით ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფაზე. სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმებია: მანდატურის სამსახური, მრჩეველთა საბჭო, 10 სათვალთვალო ვიდეოკამერა. ამიტომ, **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი,

3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი,
4. გასაჩივრების დეტალური პროცედურები,
5. სკოლის ვებგვერდი
6. სამეურვეო საბჭოს ოქმი
7. დისციპლინური კომიტეტის ოქმი
8. პროექტები მშობელთა ჩართულობით.
9. უკუკავშირები მშობლებიდან
10. მშობელთა კრების ოქმი.
11. მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებები, როგორიცაა: საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი, დახურული ჯგუფები, სკოლის ელექტრონული ფოსტა, eflow, Teams-ის პლატფორმა, ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო

კომუნიკაცია. სკოლა ამ მიმართულებით კარგად იყენებს მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ საკლასო პროექტებს. სხვადასხვა გზით ხდება უკუკავშირის მიღება მშობლებისგან, რაზეც ხორციელდება შესაბამისი რეაგირება. ამიტომ, **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის საზოგადოების ჩართულობა სკოლის მართვის პროცესში გამოიხატება მის წევრობაში სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში. ეს ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. სასკოლო საზოგადოებას აქვს პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობები. სკოლის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების საბაზო საფეხური. ამიტომ, **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. *მშობელთა კრების ოქმები*
2. *პროექტები მშობელთა ჩართულობით*
3. *სამეურვეო საბჭოს ოქმი (დირექტორის ანგარიში)*
4. *მშობელთა უკუკავშირები*
5. *Teams-ის ჯგუფების ფოტოები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შენობა ერთსართულიანია. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მასწავლებლები მორიგეობის განრიგის მიხედვით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. სკოლის შენობა არის ახლად აშენებული, სკოლაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ელექტრომოწყობილობა და ასევე აღჭურვილია სახანძრო დაფებითა და ცეცხლმაქრებით. ვიზტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 06 ივლისს გაცემული

“სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი, რომლის მიხედვით ობიექტი არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების კუთხით გათვალისწინებულ სტანდარტებს. დასკვნაში ხარვეზების აღმოფხვრის ვადა არ არის მითითებული. სკოლაში 7 სათვალთვალო კამერაა გარე პერიმეტრებზე, ხოლო შიდა პერიმეტრზე - 3, რომლის ჩანაწერებიც დირექტორთან ინახება. სკოლას იცავენ დარაჯები. არსებობს გარემონტებული და სრულად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი, თუმცა სკოლას ამე ეტაპზე არ ჰყავს ექიმი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ გამოცხადა ექთნის ვაკანსია. სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია ლითონის ბადიანი ღობით და დაცულია უცხო პირთა/ცხოველთა მოძრაობისგან. გათბობის სისტემის ე. წ საქვაბე არის სკოლის ძირითად შენობაში, რომელსაც ელექტროენერგია მიეწოდება მასიური ელექტროსადენის მეშვეობით. სკოლას ბრძანების საფუძველზე გამოყოფილი ჰყავს სპეციალური პირი, რომელიც პასუხისმგებელია ზამთრის პერიოდში გათბობის სისტემის უსაფრთხო და გამართულ მუშაობაზე.

ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად, სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მთავარი ფუნქცია დირექტორისთვის ამ მიმართულებით რეკომენდაციების მიცემაა. ფიზიკური უსაფრთხოების მექანიზმი გაწერილია “ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში”. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სკოლის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება, რომელიც წარმოადგენს შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს. დებულება ითვალისწინებს უსაფრთხოების ზომებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დირექციისთვის, ადმინისატრციისთვის, მორიგე მასწავლებლებისთვის,

დამრიგებლებისთვის, სკოლის ექიმისთვის, დამლაგებლებისთვის, დარაჯისთვის. დებულებაში ასევე გაწერილია უსაფრთხოების ზომების საგანგებო სიტუაციების დროს და ზემოთ ჩამოთვლილი პერსონალის ვალდებულებები.

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული 2023 წლის 18 აგვისტოს # 5005328223 დასკვნა, რომლის მიხედვით სკოლის შენობა უსაფრთხოა შემდგომი ექსპლუატაციისთვის. სკოლამ წარმოადგინა შსს-ს საგანაგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შესათანხმებლად გაგზავნილი სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც ვიზიტის დროს არ იყო შეთანხმებული. **.სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობის გეგმის მიხედვით ა)სკოლას შეთანხმებული აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ბ) სკოლას ჰყავს ექთანი. სკოლამ წარმოადგინა ა) დანართი N1 საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ წერილი 2952404 ბ)დანართიN2 ექთნის პირადი საქმე. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლაში 10 სათვალთვალო ვიდეოკამერაა, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ახორციელებს ვიდეოთვალთვალს, უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. სასკოლო საზოგადოებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა ხდება მასწავლებელთა მორიგეობით, მანდატურებით, სახანძრო უსაფრთხოების სისტემით. შენობასა და ეზოს პერიმეტრზე უცხო პირთა შემოსვლა-გადაადგილება კონტროლდება. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ დირექტორთან შეთანხმების საფუძველზე. სკოლის ტერიტორიაზე შემომსვლელს აკონტროლებს და

აღრიცხავს უფლებამოსილი პირი. დირექტორის ინდ. სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია პირად გასინჯვაზე უფლებამოსილი პირი. სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ სასკოლო დერეფნებსა და სკოლის ეზოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. საკლასო ოთახებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი. სკოლაში შემომსვლელი ყველა უცხო პირი ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის #53 ბრძანებით დამტკიცებულ "ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში". **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს: სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქცია და გამოყოფილია ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეფერარზე პასუხისმგებელი პირი. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. მათი მხრიდან ხშირად იგეგმება და ხორციელდება პროექტები მშობელთა ჩართულობით, იმართება პრევენციული ღონისძიებები ბულინგისა და ნაადრევი ქორწინები საწინააღმდეგოდ. სკოლას დამტკიცებული აქვს ბავშვთა მიმართა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი სკოლის უფლება-მოვალეობები ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის მიზნით. დოკუმენტში გაწერილია დასაქმებულთა ვალდებულებები

ბავშვზე ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში, ზედამხედველობის პროცესი და კონფიდენციულობის დაცვის მექანიზმები. სადამრიგებლო პროგრამების გათვალისწინებული აქტივობები ხელს უწყობს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი გაწერილია სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის #53 ბრძანებით დამტკიცებულ "ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში". ამიტომ, **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც სკოლის შიდა ასევე გარე პერიმეტრზე. მოწესრიგებულია სველი წერტილები. სკოლას საშტატო განრიგით ჰყავს 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სველი წერტილების, დერეფნების, კიბის საფეხურებისა და სახელურების სველი წესით დამუშავებას. სკოლის ადმინისტრაციის მიერ სისტემატიურად ხდება არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემოწმება. სკოლის ყველა სართულის ყველა დერეფანში განთავსებულია განსაზღვრული რაოდენობის სადეზინფექციო ხსნარი ხელის დასამუშავებლად. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი გაწერილია სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის #53 ბრძანებით დამტკიცებულ "ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში" . ამიტომ, **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე, პერსონალური მონაცემები შენახულია ციფრულადაც, რომლის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი (სკოლის დირექტორის 2023 წლის 21 აგვისტოს #36 ბრძანება).. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. მშობლისთვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა ხდება ელექტროჟურნალის საშუალებით კონკრეტული მშობლისთვის განკუთვნილ სივრცეში, სადაც მხოლოდ თავისი შვილის/შვილების ქულებს და განმავითარებელ კომენტარებს ნახულობს. მატერიალური საკლასო ჟურნალები ინახება კანონმდებლობის დაცვით. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 6 სექტემბერს. დოკუმენტში გაწერილია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, საფუძვლები,მონაცემთა კატეგორიები, მათი შენახვის და გამჟღავნების პრეცედურები, მონაცემებზე წვდომის ეტაპები და სკოლაში დასაქმებულების ვალდებულებები პერსონალური მონაცამების დაცვის კუთხვით. ამიტომ, **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა მონაცემების შეგროვებას დამუშავებასა და დაცვას ახდენს ,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით, აღნიშნული გაწერილია თანამშრომლებთან და მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში, შინაგანაწესში, ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტში. სკოლა მონაცემებს ამუშავებს, აგროვებს მხოლოდ კანონიერი საფუძვლით. სკოლაში არსებული

ნებისმიერი ინფორმაცია დაცულია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა მუდმივად აკვირდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებას, პერიოდულად შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოთა სხდომებზე ხდება მათი შეფასება, რაც უპირობოდ გამოიყენება მისი გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული დადასტურდა დირექციასთან და სკოლის პერსონალთან გასაუბრებით. შესაბამისად, **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*
2. ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი
3. სკოლის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება
4. *ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა*
5. *ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქციები,*
6. *პირად გასინჯვაზე უფლებამოსილი პირის გრძანება,*
7. *დამრიგებლის ფუნქციის დაკისრების გრძანება,*
8. *ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეფერალზე პასუხისმგებელი პირის გრძანება,*
9. *ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ფოტო*

10. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი

11. მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება

12. მშობლებთან და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები

13. საქმისმწარმოებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია

14. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა განთავსებულია მისამართზე: ადიგენი, სოფელი ღორთუბანი. აღნიშნულ მისამართზე არსებული ინფრასტრუქტურა სახელმწიფოსაგან მიღებულია უზურფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე. შენობა უზრუნველყოფილია წყლით, ცენტრალური გათბობით შეშაძე, ელექტრომომარაგებითა და საკანალიზაციო სისტემით. სკოლის ეზო 10 374 კვ. მეტრია. სკოლის მთელ ტერიტორია აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. სკოლა განთავსებულია ახალ შენობაში. შენობა ერთსართულიანია, მოიცავს 9 საკლასო ოთახს, ბუფეტს, ცალკე ოთახი გამოყოფილია <u>საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოსამზადებლად .</u> შენობაში ასევე არის სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და ისტ-ის კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, 1 საპირფარეშო ბიჭებისთვის, 1 საპირფარეშო გოგოებისთვის, 1 ადაპტირებული საპირფარეშო სსსმ მოსწავლისთვის, 1 საპირფარეშო სკოლის თანამშრომლებისთვის, საკუჭნაო ოთახი დამლაგებლებისთვის. სკოლას არ აქვს შიდა სპორტული დარბაზი. სპორტის გაკვეთილები ტარდება გარე სპორტულ მოედანზე.

საკლასო ოთახები აღჭურვილია სრულად ახალი ინვენტარით. სკოლის ტერიტორიაზე ინტერნეტი ხელმისაწვდომია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკასა და ის ისტ-ის ოთახში. სკოლას აქვს 7 ლეპტოპი, 2 პერსონალური კომპიუტერი, 3 პროექტორით, 3 ქსეროქსის აპარატით. სკოლაში ამ ეტაპზე ირიცხება 23 მოსწავლე. ყოველწლიურად მიმდინარეობს ინვენტარიზაცია და მატერიალური რესურსების შეკეთება-განახლება. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, სველი წერტილები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველას - მოსწავლესაც და მასწავლებელსაც. მისი მუშაობა ხორციელდება დებულების მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკის მუშაობას წარმართავს ბიბლიოთეკარი. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, <u>სკოლას ვურჩევთ შეიმუშაოს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი.</u>

ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ და შშმ მოსწავლეები. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ამისათვის სკოლაში არსებობს სამკითხველო, გარე სპორტული მოედანი. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია საქართველოს დროშა,

გერბი და ჰიმნი. სკოლის ეზოში აღმართულია საქართველოს დროშა. სპორტული სივრცე გამოყენებულია სპორტული შეჯიბრებებისა და ჩემპიონატების ჩასატარებლად, რომელიც სოფლის მასშტაბით იმართება. იმის გამო, რომ სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი პროექტებისა და ღონისძიებებისათვის გამოყენებულია ბიბილიოთეკა და საკლასო ოთახები. საკლასო ოთახებსა თუ დერეფნების კედლებზე და სივრცეებში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. სკოლაში იმართება სხვადასხვა დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიებები, რომლებსაც ესწრებიან თემის წარმომადგენლები. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, რუკები, პლაკატები მოსწავლისა და მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომია. თუმცა სკოლას ესაჭიროება <u>საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა,</u> სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია ის რესურსები, რაც საგნის სწავლებისთვის წლის მანძილზე არის საჭირო. სკოლა ცდილობს შეიძინოს აღნიშნული რესურსები და უზრუნველყოს სწავლების მაღალ სტანდარტებზე განხორციელება. წლების მანძილზე სკოლაში დაგროვდა შეძენილი თუ შექმნილი (მასწავლებლების, მოსწავლეების) რესურსები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა და წარმატებით ხდება მათი მოხმარება. კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსების არსებობა დასტურდება როგორც დათვალიერებით, ისე შესყიდვების დოკუმენტაციითა და სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. საკადასტრო რუკა
3. 2022 წლის სკოლის ფინანსური ანგარიშსწორების დოკუმენტი
4. საგნობრივი კურიკულუმი
5. კათედრის ოქმები
6. შესყიდვის დოკუმენტაცია
7. ფოტომასალა
8. ბიბლიოთეკარის ხელშეკრულება.
9. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ადმინისტრაციული მართვა და საქმისწარმოება მთლიანად ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ხდება. ადმინისტრაციას აქვს ორი პერსონალური კომპიუტერი და ერთი პრინტერი (კომბაინი). კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული ლეპტოპების გამართულია და შესაბამისობაში მოსწავლეთა რაოდენობასთან. სკოლას ინტერნეტი მიეწოდება როგორც საკაბელო, ისე wifi არხით. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. დირექტორის კაბინეტი განთავსებულია სამასწავლებლოში, სადაც დგას 2 კომპიუტერი. მასწავლებლებისთვის ასევე ხელმისაწვოდმია ისტ-ის ოთახში არსებული ლეპტოპებიც, რომლებსაც იყენებენ გაკვეთილებზე. მასწავლებლისთვის ხელმისწავოდმია ასევე პრინტერები და პროექტორები. სკოლას მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი ცალკე დოკუმენტის სახით არ აქვს სკოლას, მაგრამ იკითხება სხვადასხვა დოკუმენტებში: ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, პერსონალური მონაცემების დაცვა, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება. <u>სასურველია, სკოლამ შექმნას მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც საჯარო იქნება.</u> **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. გაკვეთილების ცხრილი
2. სკოლის ინფრასტრუქტურა
3. შესყიდვების დოკუმენტაცია
4. ტექნიკის ადგილზე შემოწმება

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის დადგენილი წესით, როგორც ელექტრონულად, ისე - მატერიალურად. სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა, შემოსული და გასული დოკუმენტების ელექტრონული აღრიცხვა, პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმის წარმოება. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. დირექტორის მიერ გამოცემულია ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები. ხდება შრომითი ხელშეკრულებების

აღრიცხვაც. საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონულად. სკოლის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორისაც ელექტრონული ფორმით მიმდინარეობს საქმისწარმოება. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვედ ოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eFlow. სისტემა არის სკოლის მართვისას აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის eFlow, eschool და ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge. ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა სამივე საშუალებასთან. Eflow, eschool და ელექტრონულ ფოსტაზე teachers.gov.ge საკუთარი გვერდები აქვთ თანამშრომლებს. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის გადამოწმებამ აჩვენა, რომ ბაზაში ასახულია სკოლის შესახებ ყველა სახის ინფორმაცია. მათ შორის: სკოლის მონაცემები, მოსწავლეთა და მშობელთა მონაცემები, პერსონალის მონაცემები, სკოლის ბიუჯეტი, სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, საგაკვეთილო განრიგი, კლასებისა და დამრიგებლების რაოდენობა, ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის შესახებ ინფორმაცია, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, საშტატო განრიგი და ა.შ. სკოლის პროფილი სრულყოფილია. სკოლის გვერდის სრულყოფაზე და სათანადოდ მართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი და საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ასევე

საგანმანათლებლო საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში მყისიერად და ეფექტურად ხდება ანგარიშის წარდგენა. ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. .სკოლის eschool -ის გვერდი
2. სკოლის eflow -ს გვერდი
3. სკოლის ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge
4. საქმისმწარმოებელსა და საინფორმაციო მენეჯერთან გაფორმებული ხელშეკრულებები
5. საქმისწარმოების წესი.
6. სამეურვეო საბჭოს ოქმი
7. 10 დეკემბერს გაგზავნილი ინფორმაცია.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სკოლა იყენებს, სოციალურ ქსელს, სკოლის ფეისბუქგვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს, რათა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის ძირითადი საკითხები გაზიარებული იქნას სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის შემოსასვლელ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა რეგულარულად აახლებს ინფორმაციებს. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარებისა და განხილვის მიზნით. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ სხვადასხვა არხებით გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. თუ ინფორმაცია ვრცელდება ოფიციალურად, ამ ინფორმაციის სანდოობასა და უტყუარობაზე პასუხს აგებს გვერდის ადმინისტრატორი და სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს ელექტრონული ფოსტას, სოციალური ქსელს, დახურულ ჯგუფებს, Teams-ს, სკოლაში განთავსებულ ანონიმურ ყუთს. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი შემდგომი საქმიანობის უკეთ

დაგემვა-განხორციელების მიზნით. . საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხშირია საზოგადოებაში არსებულ პრიორიტეტულ თემებზე დაგეგმილი აქტივობები, პროექტები. დამრიგებლის უფლება-მოვალეობებით განსაზღვრულია მშობლებთან კომუნიკაციის ვალდებულება, რის მიხედვითაც ისინი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს ინდივიდუალურად. პერიოდულად კი ტარდება მშობელთა კრებები. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელსაც უფრო ნარატივის სახე აქვს, ვიდრე მარეგულირებელი დოკუმენტის. ამასთან, არსებული წესი ითვალისწინებს მხოლოდ მშობლებთან ურთიერთობის სახითს. სასურველია, სკოლამ არსებული დოკუმენტი მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს ვებ-გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლას აქვს მისია, ხედვა, ღირებულებები, პროგრამების სახელწოდებები ცალ-ცალკე დოკუმენტების სახით. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებული სკოლის ვებ-გვერდზე **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვებ-გვერდი

2. მშობელთა კრების ოქმები
3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. სკოლის შინაგანაწესი
5. საინფორმაციო დაფა
6. ფეისბუქის ჯგუფები
7. მშობელთა უკუკავშირები
8. ანონიმური ყუთი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი არის ვაუჩერული დაფინანსება. თანხა მიმართულია იმ პრიორიტეტებზე, რომელიც სკოლის სამოქმედო გეგმითაა განსაზღვრული. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. ყოველი წლის ნოემბრის თვეში კათედრებიდან, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორიდან და სხვა პასუხისმგებელი პირებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დირექტორის დავალებით უფლებამოსილი პირი ახორციელებს ბაზრის კვლევას, რაზე დაყრდნობითაც დგება მომავალი წლის შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმის გათვალისწინებით დირექტორი წარუდგენს და სამეურვეო საბჭო ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. წლის მანძილზე შესყიდვების გეგმის განხორციელება და ბიუჯეტის განკარგვა ხდება შესყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე. წელიწადში ორჯერ სკოლის ბუღალტერი ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს. 10 დეკემბრამდე დირექტორი ფინანსურ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების გეგმა და ბიუჯეტი დამტკიცებულია წინა წელს, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სათანადო წესების დაცვით მასში ცვლილებების შეტანა, რაც უფრო მოქნილს ხდის სკოლის ფინანსურ მართვას. ბუღალტერმა წარმოგვიდგინა მიმდინარე და საპროგნოზო ბიუჯეტი, სათვალთვალო ვიდეოკამერებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოწყობილობის შესყიდვების დოკუმენტები, კომპიუტერების მიღება-ჩაბარებები. საპროგონოზ ბიუჯეტში გათვალისწინებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის საჭირო ინევნტარისა და სხვა სასწავლო რესურსების შეძენა. სკოლას ამისთვის საკმარისი თანხა

აქვს ანგარიშზე, 2023 წლის სექტემბრის თვეში სკოლის ნაშთი შეადგენს 225000 ლარს. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ბიუჯეტი
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე
3. სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის ცვლილებაზე
4. 10 დეკემბრის დირექტორის ანგარიში
5. შესყიდვების გეგმა
6. ცვლილება შესყიდვების გეგმაში
7. ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლას მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დასაცავად და გარანტიების უზრუნველსაყოფად აქვს ბერკეტები. ასეთი დოკუმენტი არის სკოლის **შინაგანაწესი**. იგი ეფუძნება კანონს ზოგადი განათლების შესახებ, ბავშვთა უფლებების დეკლარაციას და იმ ფუნდამენტურ საკანონმდებლო აქტებს, სადაც გაწერილია ბავშვის უფლებები და მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესში ასახულია მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აკრძალვები, ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში გაწერილია რეაგირების პროცედურები, ფორმები და სახდელები. სკოლას აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციის დოკუმენტი, რომელშიც არის გაწერილი ბავშვთა მიმართ სხვადასხვა ტიპის ძალადობის გამოვლენის მექანიზმები და რეაგირების ფორმები. აღნიშნული

დოკუმენტი ეფუძნება ბავშვის უფლებების კონვენციასა და ამ სფეროსთან დაკავშირებულ სხვა სამართლებრივ აქტებს. სკოლას არ ჰყავს მანდატური, მაგრამ ბრძანებით ჰყავს გამოყოფილი სპეციალური პირი რომელიც არეგულირებს ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებს. სკოლაში ფუნქციონირებს **დისციპლინური კომიტეტი,** რომელიც აქტიურად დგას ბავშვთა უფლებების სადარაჯოზე. სკოლაში შექმნილია **მრჩეველთა საბჭო,** რომლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით, საბჭო ასევე ზრუნავს სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობებით დაიცვას მოსწავლეთა უფლებები. საბჭოს მოვალეობაა, საჭიროების შემთხვევაში, ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის შესახებ სკოლის დირექტორისთვის რეკომენდაციების გაცემა.

სკოლის მოსწავლეები სწავლობენ უსაფრთხო გარემოში. შიდასასკოლო რეგულაციები, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, უსაფრთხოებაზე პასუხსიმგებელი პირი, მასწავლებელთა მორიგეობა, კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა და ანგარიშები ადასტურებს, რომ სკოლაში მოსწავლეთათვის დაცულია უსაფრთხო გარემო. საგნის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მათივე მონაწილეობით გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს. მართალია, სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლეები, თუმცა სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს ინკლუზიური განათლების არსი, მასწავლებლები მუდმივად ეცნობიან ლიტერატურას და ესწრებიან ტრენინგებს, კარგად იცნობენ დიფერენცირებული მიდგომის სტრატეგიებს. მასწავლებლემა და დირექციამ საუბარში აღნიშნა, რომ თუ სკოლაში სსსმ

მოსწავლე ჩაირიცხება, ისინი მზად არიან შეიმუშაობ ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია. **ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლაში ყველა რეგულაცია, რომელიც მოსწავლეთა მხარდაჭერაზეა ორიენტირებული, შექმნილია ზოგად განათლებაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებზე დაყრდნობით სკოლის საჭიროებების გათვალისწინებით, გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის შინაგანაწესი შექმნილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭო მიერ. სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა სასწავლო წლის დასაწყისში ეცნობა მშობლებს და მოსწავლეებს. შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას. პედაგოგები სკოლის შეინაგანაწესის გაცნობის მიზნით იყენებენ სოციალურ ქსელსაც. **ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლას აქვს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გაფორმებული ხელშეკრულება მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება სკოლაშო, მეროე მშობელთან. **ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
3. ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები
4. ხელშეკრულება მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან
5. ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებასა და რეფერარზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება
6. სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული შინაგანაწესის
7. *სადამრიგებლო პროგრამები/სადამრიგებლო საათის ოქმები*
8. *უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქცია (სკოლის დირექტორის 06.09.2023 N43 ბრძანება)*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. სკოლას დირექტორის ბრძანებით ცალკე დოკუმენტის სახით დამტკიცებული აქვს მოსწავლის მიღების წესი. (სკოლის დირექტორის 06.09.2023 წლის N44 ბრძანება) **ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. კერძოდ, მოსწავლის ჩარიცხვა სკოლაში ხდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტით, რომელშიც გამოყოფილია სსსმ მოსწავლეთა კვოტაც. თუ მოსწავლე გადმოდის მობილობით, ასეთ შემთხვევაში მშობლის განცხადების შემდეგ სკოლა ელექტრონული ფორმით მოთხოვნას უგზავნის გამშვებ სკოლას და იღებს მისგან დასტურს, რის საფუძველზეც ხდება მოსწავლის ჩარიცხვა. ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის

შესაბამისად მოსწავლეს კლასი და საფეხური დაძლეულად ეთვლება იმ შემთხვევაში, თუ მისი წლიური შეფასება არის 5 და მეტი ქულა. სტატუსის შეჩერების საფუძველი არის მშობლის განცხადება, მოსწავლის მიერ სკოლის ზედიზედ 45 დღის განმავლობაში გაცდენა. ამ შემთხვევაში კლასის ხელმძღვანელი აწარმოებს მოკვლევას მიზეზების შესახებ და ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორს. მოკვლევა ხორციელდება გაცდენიდან 10 და 20 დღის გასვლის შემდეგ. ყველაფერი ეს დადასტურდა ემისის ბაზის შემოწმების შედეგად და ინტერვიუს შედეგებით. **ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლა არ ახორციელებს რაიმე სახის ფასიან მომსახურებას, პროგრამებს. **ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო, დირექცია და დისციპლინური კომიტეტი აქტიურად დგას სკოლის უსაფრთხოების სადარაჯოზე იმისათვის, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების და რესურსების შესახებ იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. აღნიშნული საკითხი დასტურდება დისციპლინური კომიტეტის დებულებით.სკოლის პერსონალის ან მასწავლებლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების შესახებ არის თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული. ყველა აქტივობა არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული . სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე ქვეყნდება მსგავსი ტიპის ინფორმაცია.

ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მშობლის განცხადება სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.*
- *Eschool-ის გაზა*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა.*
- *მოსწავლის მიღების წესი 06.09.2023 წლის N44 ბრძანება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სადამრიგებლო პროგრამებითა და ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლა მრავალფეროვან აქტივობებს მიმართავს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციაზე ზრუნავს დამრიგებელი. სანამ სკოლაში მოხდება პირველ კლასლთა ჩარიცხვა, პედაგოგები სტუმრობენ ბაღს. ეცნობიან მომავალ პირველკალსელებს. აცნობენ სასკოლო ცხოვრებას. კლასის დამრიგებელი მობილობით გადმოსულ მოსწავლეს აცნობს სკოლის შინაგანაწესს. ათვალიერებინებს სკოლას. აცნობს მასწავლებლებს. გადასცემს წიგნებს. სკოლას აქვს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის რეგულირების წესი. წესში მოცემულია დამრიგებლის ფუნქციები.

<u>რჩევა: სასურველია სკოლამ ცალკე დოკუმენტის სახით შექმნას მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი.</u>

ამ ეტაპისთვის , **ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ახალი სასკოლო გარემო ყველა ბავშვისთვის განსაკუთრებულ ცხოვრებისეულ მოვლენას წარმოადგენს. სასწავლო წლის დაწყებამდე მასწავლებლები სტუმრობენ ბაღში და ეცნობიან მომავალ პირველკლასელებს. ახალ სასწავლო წელს პირველკლასელების მისაღებად სკოლა ატარებს ზეიმებს, რათა პატარებს დადებითი ემოცია გაუჩნდეთ სკოლისადმი. ინტერვიუდან ირკვევა, რომ როდესაც ახალი მოსწავლე გადმოდის, ხელი ეწყობა მის ადაპტაციას სკოლასთან, შესაბამის კლასთან და ძირითადად ამ ფუნქციას კლასის დამრიგებელი ითვისებენ. სკოლაში თბილი და მეგობრული ატმოსფეროა. სკოლაში ირიცხება 24 მოსწავლე. ახალი მოსწავლისთვის ადაპტაცია შესაბამისად არ არის რთული. სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეებს და მათ მშობლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას, სადამრიგებლო პროგრამას, რომელშიც მთელი წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობებია გაწერილი და რაც მშობელთა კრების ოქმებით დასტურდება. თუ მოსწავლე სკოლაში მობილობით გადმოდის მასთან და მის მშობელთან ხდება კლასის ხელმძღვანელის ან დირექტორის შეხვედრა. მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო კულტურით გათვალისწინებულ ტრადიციებს, რომელიც სკოლაში აქვთ. თანაკლასელებთან ადაპტაციის პროცესი მიმდინარეობს დამრიგებლის მეთვალყურეობით და საჭიროების შემთხვევაში იგი ახდენს ინტერვენციას. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური საუბრები მოსწავლეებთან, სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრები ან საკლასო პროექტი, რომელშიც ჩართულნი იქნებიან მოსწავლეები და მორგებული იქნება საჭიროებებზე. **ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. დირექციასთან, მასწავლებლებთან, კლასის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების პროცესში ცნობილი გახდა, რომ კლასის ხელმძღვანელები მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სისტემატიურად აცნობენ

მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს სჭირდება მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, სკოლა/მასწავლებელი მზად არის მოსწავლეებს შესთავაზოს დამატებით კონსულტაციები, მეცადინეობები, კლასის ხელმძღვანელების მიერ ინფორმირებულნი არიან მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, რომ უფლება აქვთ არ დაეთანხმონ საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვონ ქულის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნა. თუმცა პედაგოგების თქმით მსგავსი პრაქტიკა ბოლო წელებში სკოლაში არ ყოფილა, რადგან მოსწავლეები არ საჭიროებენ მსგავსი ტიპის დახმარებას , რადგან სკოლაში სულ 24 მოსწავლე ჰყავთ. კლასები მცირერიცხოვანია. ზოგიერთ კლასში ირიცხება ერთი მოსწავლე. ისინი დამატებით მეცადინეობას აღარ საჭიროებენ. **ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, ასევე მოსწავლეებთან კლასის კრებაზე ხდება მათთვის უფლებების და მოვალეობების გაცნობა. ამასთან იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. სკოლა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის ინფორმაციას მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ, სადაც მომსახურება უფასოა და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი დახმარება გადამისამართებაში. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე გასცემს ცნობას, დახასიათება/რეკომენდაციას, ნიშნების ფურცელს, რაც ნათლად გამოჩნდა eflow-ს გადამოწმებისას. **ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. ინტერვიუების დროს მასწავლებლემა და დირექტორმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინიციატივებით ტარდება სპორტული ღონისძიებები, ეწყობა ექსკურსიები და ლაშქრობები. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით ხდება სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართული მოსწავლეების წახალისება, მათი დაჯილდოება სიგელებით.

<u>**რჩევა: სკოლას ვურჩევთ შექმნას მოსწაველთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები.**</u>

ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ დამრიგებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, აწვდიან მათ სრულ ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებსა და საჭიროებებზე, ასევე უკუკავშირის საფუძველზე ხდება მათი საჭიროებების გათვალისწინება.**ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პროექტი (საკლასო/სასკოლო)
2. სადამრიგებლო საათის ამსახველი დოკუმენტაცია
3. ბაზების გადამოწმება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფორიენტაციის მიზნით, სკოლა თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან, კოლეჯებთან, ეწყობა ექსკურსიები სხვადასხვა დაწესებულებებში. სკოლაში ხორციელდება პროექტები განსაკუთრებით აგრარული მიმართულებით თემის სპეციფიკიდან გამომდინარე. სკოლას დაგეგმილი აქვს კოლეჯებთან თანამშრომლობით საბაზო საფეხურის მოსწავლეებს შესთავაზოს მებაღეობის საორიენტაციო კურსი. **ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. საბაზო საფეხურის დამლევის შემდეგ მოსწავლეებს და მათ მშობლებს აწვდის ინფორმაციას ამ მიმართულებით განათლების მიღების შესაძლებლობის შესახებ. სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ასევე სკოლა გეგმავს თემატურ ექსკურსიებს სხვადასხვა დაწესებულებებში, რომლებიც პროფორიენტაციაში ეხმარება მოსწავლეებს. სკოლა ახორციელებს მხოლოდ საბაზო და დაწყებით საგანამანათლებლო

პროგრამებს. ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ გასულ სასწავლო წელს მასწავლებელმა საბაზო საფეხურის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე წაიყვანა თემატურ ექსკურსიაზე სხვადასხვა დაწესებულებებში, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელში. სკოლაში გასულ სასწავლო წელს საბაზო საფეხურის დამამთვრებელ კლასში ირიცხებოდა მხოლოდ 1 მოსწავლე. მსგავს თემატურ ექსკურსიებს პედაგოგები ყოველ სასწავლო წელს ახორციელებლენ საბაზო საფეხურის დამამთავრებელ კლასში. **ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ ყოველი შემდგომი სასწავლო წლის დაწყების წინ ხდება წინა სასწავლო წლის შედეგებისა და მონაცემების ანალიზი, რის საფუძველზეც სკოლა ითვალისწინებს წინარე შედეგებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. **ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. ინტერვიუს შედეგები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლა** სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ გამოთქვამს სურვილს და მზაობას ამ ტიპის მოსწავლეთათვის სწავლების შეთავაზების კუთხით. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ნაწილობრივ ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეებისთვის. სკოლას აქვს პანდუსი და ადაპტირებული საპირფარეში. მასწავლებლები მუდმივად გადიან ტრენინგებს ამ კუთხით.

ამიტომ, ინდიკატორთან მიმართებაში სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო** სკოლაში ამ ეტაპზე არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, **შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.** თუმცა მასწვლებლები კარგად იცნობენ ინკლუზიური განათლების პრინციპებს, სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც დასტურდება კურიკულუმითა და გასაუბრებებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლაში ამ ეტაპზე მოსწავლეებს** დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) არ ხორციელდება. **ამიტომ, აღნიშნულ კომპონენტში სკოლა ვერ შეფასდება.**
2. **სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლაში ამ ეტაპზე მოსწავლეებს** დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. **ამიტომ, აღნიშნულ კომპონენტში სკოლა ვერ შეფასდება.**
3. **სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლაში ამ ეტაპზე მოსწავლეებს** დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. **ამიტომ, აღნიშნულ კომპონენტში სკოლა ვერ შეფასდება.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სასკოლო კურიკულუმი - **საბაზო საფეხური**	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

(დაწყებითი საფეხური)

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან, ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ,,კურიკულუმის შემუშავებისა და

განვითარების მეთოდოლოგია“(დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 06.09.2023 წლის #46 ბრძანებით). მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრები, დირექცია, მოსწავლეები და მათი მშობლები. წარმოდგენილი მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებსა და შესაძლებლობებს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით აღწერილია ჩართული მხარეების: სკოლის საგნობრივი კათედრების, დირექციის, მოსწავლეებისა და მათი მშობლების ფუნქცია-

მოვალეობები. აღნიშნულ დოკუმენტში სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრისათვის კონკრეტული აქტივობებია განსაზღვრული. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად მასწავლებლებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინონ რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. კათედრის სხომებზე განიხილავენ შექმნილი საგნობრივი კურიკულუმებს, საჭიროების შემთხვევაში კი კურიკულუმებში ცვლილებას შეიტანენ. კურიკულუმის დასანერგად მასწავლებლები გაკვეთილებს წარმართავენ საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესები განხორციელდება, როგორც კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებით, ასევე კომპლექსური დავალებებისთვის განსაზღვრული აქტივობების გამოყენებით, რომლებიც მოცემული აქვთ მატრიცებში. ასევე მათ მიერ მოხდება დაკვირვება, თვითშეფასების წარმოება. მეთოდოლოგიის დიკუმენტის გათვალისწინებით დირექტორის მოვალეობაა ფასილიტაცია გაუწიოს კურიკულუმის

დანერგვის პროცეს და მოახდინოს მისი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფა. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მოიცავს კურიკულუმის რევიზიის პროცეს, რომლის მიზანია ახალი სასწავლო წლისთვის, კურიკულუმის დამტკიცებამდე, მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება კათედრის ხელმძღვანელის მიერ გამოკითხვის ჩატარება კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოვლენილი მიღწევების, სირთულეების და მათი დაძლევის გზების შესახებ, მასწავლებლების მიერ კითხვარის შევსება, რომლითაც დადგინდება კომპლექსურ დავალებების დადებითი, უარყოფითი მხარეები, სირთულეები შესრულების პროცესში, დავალების მნიშვნელობების განხილვა, რამდენად დაეხმარება მიღებული ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში და ა.შ. ამგვარად, წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმას და აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო მომსახურებას დაწყებით და საბაზო საფეხურზე. სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. კურიკულუმის შექმნის დროს ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, თემის საჭიროებებს. აღნიშნული სკოლა არ იყო ჩართული „ახალი სკოლის მოდელში“ მათ არ ჰქონიათ შესაძლებლობა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდამჭერ ჯგუფებთან აქტიური კომუნიკაციის, რის გამოც აქვთ კურიკულუმებზე მუშაობის ნაკლები გამოცდილება, თუმცა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს კათედრის წარმომადგნელებმა დაწვრილებით ისაუბრეს, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან, მთელი წლის მანძილზე განხორციელებენ რეფლექსიებს, მიგნებების და სასწავლო პროცესის ანალიზის საფუძველზე, განავითარებენ უკვე მათ მიერ შექმნილ კურიკულუმებს. თუმცა სკოლაში არის პრაქტიკა, მასწავლებლების შეხვედრების, ინფორმაციის, პირადი გამოცდილების გაზიარების მიზნით. 2022-2023 სასწავლო წელს სასკოლო კურიკულუმის შექმნისთვის აქტიურად იყვნენ ჩართული სამ დღიან „ქოუჩინგში“ ავტორიზაციის ფარლგებში. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით

შეარჩიეს საფეხურების მიხედვით კურიკულუმებში სასწავლო საკითხები, შეადგინეს კომპლექსური დავალებები ცნებების მიხედვით, მოიფიქრეს საკვანძო შეკითხვები და აქტივობები. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სასკოლო კურიკულუმი შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ.

2023-2024 სასწავლო წლისათვის სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, თემის საჭიროებები და შესაძლებლობები. დირექციისა და მასწავლებელთა ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნასა და განხორციელებაში აქტიურად იყვნენ ჩართული სკოლის კათედრები, რომელთა ინიცირებით სკოლაში შეიქმნება კლუბები, რომლის ფარგლებში უნდა განახორციელონ სხვადასხვა პროექტები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. საჯარო სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მასწავლებლების ჩართულობით შემუშავებული 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და გამომდინარეობს სასკოლო საზოგადოების მიერ შექმნილი მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან.

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით, მათი განვითარების გზები. მოცემული დოკუმენტით გათვალისწინებულია ფორმალური (საგაკვეთილო) და არაფორმალური (კლასგარეშე) კომპონენტების გამოყენებით სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს კურიკულუმის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ მრავალფეროვან საგანმანათლებლო აქტივობები. დოკუმენტის შესაბამისად მასწავლებლები გაიაზრებენ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებსა და მათი სასწავლო პროცესში

რეალიზების გზებს, შექმნიან ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ და მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგებულ სასკოლო კურიკულუმებს. სკოლაში ვიზიტის დროს, ინტერვიუებზე, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ თავდაპირველად კათედრებზე განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, აანალიზებენ კათედრის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ფიქრობენ აღმოფხვრის გზებზე. მსჯელობენ, როგორია აკადემიური მოსწრება ამა თუ იმ კათედრაზე, როგორ წარიმართა არაფორმალური განათლება სკოლაში, რამდენად აქტიურად და ინტერესით ესწრებოდნენ მოსწავლეებისაგანების გაკვეთილებს, მიღწეულია თუა არა დასახული მიზნები და ა.შ. სკოლის პედაგოგები იყენებენ სასკოლო სივრცეში შეხვედრებს, შიდა ფბ გვერდს, თიმსის პლათფორმას.

ამგვარად, სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებენ საგნის მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები და სკოლის დირექცია. სკოლას წარმოდგენილი აქვს სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სხდომაზე ერთ-ერთ განსახილველ საკითხს სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება წარმოადგენდა, რაც ადასტურებს ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. ასევე, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი მუდმივად აწვდიან მოსწავლეებსა და მშობლებს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ და ამყარებენ მათთან ეფექტურ კომუნიკაციას სხვადასხვა სოციალური ქსელის, სატელეფონო საუბრებისა თუ პირადი შეხვედრების საშუალებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1)კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2)საგნობრივი კურიკულუმები

3)სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია შერჩეული კონკრეტული კომპლექსური დავალებების იდეა, კონტექსტ-მაგალითები, სკოლას არ აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, მიუხედავად ამისა მათ საკმაოდ მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების განხორციელება გაწერეს დაწყებით კლასებში, მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, 2023-2024 სასწავლო წელს სწავლება განახორციელოს ესგ-ს

მოთხოვნების შესაბამისად, სწავლება ორიენტირებული იყოს მოსწავლეზე. რათა უზრუნველყოს მოსწავლის მთლიანპიროვნული ინტეგრირებული განვითარება და მაღალი სააზროვნო უნარების მობილიზება. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ ამ ტიპის დავალებების შესასრულებლად მოსწავლემ ძალისხმევა უნდა გაიღოს, მართოს საკუთარი სწავლის პროცესი, მიიღოს საინტერესო, მოულოდნელი და განსხვავებული გამოცდილება, გამოთქვას ვარაუდები, მოსაზრებები და შექმნას სხვადასხვა ვარიაციები.

უცხოური ენები - სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული, რომელიც ცდილობს აჩვენოს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. შუალედური მიზნები, შესაბამისია სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრულია სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მეტ-ნაკლებად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, გამომდინარე იქედან, რომ სკოლა არის მცირე კონტინგენტიანი სასწავლო პროცესში მაქსიმალურად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, მათი წინარე ცოდნა და ინტერესები. სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ,

რომ მათ არ აქვთ კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება, თუმცა, ახალი სასწავლო წლისათვის ისინი გეგმავენ ამ მიმართულებიცთ პროცესების გაძლიერებას, რაც მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმებითაც დასტურდება.

ბუნებისმეტყველება - I-VI კლასის კურიკულუმები დაფუძვნებულია ბუნებისმეტყველების ახალ სტანდარტზე, შესაბამისად, წარმოდგენილია სავალდებულო თემები, თემების ფარგლებში შერჩეულია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ორიენტირებული იქნებოდა გრძელვადიან მიზნებზე. გამომდინარე აქედან, წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს: სწავლის პროცესს, რომელიც განიხილავს ცოდნის აქტიური კონსტრუირებას, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვის გზას. ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში ნათელია ის სამიზნე ცოდნა (ქვესაკითხი, ქვეცნებები, სამიზნე ცნებები), რომლის კონსტურიებასაც ისახავდნენ მიზნად მასწავლებლები.

ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები განხილულია, როგორც შუალედური მიზანი, რომელიც ორიენტირებულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. გარდა ამისა, მასწავლებლებთან პირსპირი გასაუბრების შედეგად, ჩანს რომ, სასწავლო პროცესები ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, მათი შესაძლებლობები. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე, უნდა ითქვას, რომ აქცენტი კეთდება ისეთი დავალებების შერჩევაზე, რომლებიც იწვევს მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობას, მათში ემოციურ კმაყოფილებას, შეიცავს გამოწვევას, თუმცა ეხება შედარებით მარტივ საკითხებს, ვინაიდან მოსწავლეებს არ აქვთ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმები, (მე-2, მე-3 და მე-4, მე-5, მე-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩო) ძირითადად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოჩნდა, რომ სკოლას აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე.

სახელმწიფო ენა - მიუხედავად იმისა,რომ სკოლა არ იყო ჩართული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში,კოლეგებთან თანამშრომლობით და ავტორიზაციის ქოუჩინგით მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესი დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებულად და შესაბამისად შეიმუშავონ კურიკულუმი,რაც ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უპირატესობას მიანიჭებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, მოსწავლეები შექმნიან შემოქმედებით პროდუქტს (მოთხრობა, იგავი, წერილი, კომიქსი, რეკლამა, პოსტერი), რომელთა საშუალებითაც დაადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხთან მიმართებით. მათ მიერ შექმნილ კურიკულუმის ჩარჩოს სასწავლო პროცესის დაწყებამდე სრულყოფენ,აისახებაგრძელვადიან მიზნებთან მიმართებით.

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებით საფეხურზე, წარმოდგენილი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, სკოლის

მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოები, სადაც გაწერილია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები საფეხურის დონეზე, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით). შუალედური მიზნების სახით კი წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები - რომელთა შესრულებისას მოსწავლეს სჭირდება სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის პიროვნული განვითარების საშუალებას, ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების, მათ შორის მეტაკოგნიტური უნარების განვითარების გამომუშავებას.

სპორტი - სკოლის ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად და საშუალებას იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. მომავალი სასწავლო წლისათვის დაგეგმილ კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო თემებით (მძლეოსნობისა და სხვადასხვა სახეობების ელემენტები, თეორიული მიმართულება, ლასქრობა), გათვალისწინებულია სკოლის ინფრასტრუქტურაც. მოსწავლეთა ინტერესებიც და შესაძლებლობებიც. ფიზიკური აქტივობებისათვის სკოლას აქვს შესაბამისი სპორტული მოედანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.**მათემატიკა** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის დოკუმენტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის

ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შერჩეულია კომპლექსური დავალებები, შესაბამისი რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც შესაბამისობაშია სიღრმისეული სწავლების პრინციპებთან. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე.

უცხოური ენები - შერჩეული კომპლექსური დავალებები დაეხმარება მოსწავლეებს კომპონენტური უნარების განვითარებაში. მოსწავლეს მოუწევს ჩაერთოს კომუნიკაციაში, იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითი უნარი გამოიყენოს. გუნდური და ჯგუფური სამუშაო განუვითარებს თანამშრომლობის უნარს, ხოლო რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლის ხასიათს და პიროვნებას ჩამოაყალიბებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები ისეა შედგენილი, რომ ფარავს საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი გეგმავენ სასკოლო პროექტებისა და ინტეგირებული გაკვეთილების განხორციელებას, რომელიც მორგებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე, გრძელვადიან მიზნებსა და გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარებისაკენ.

ბუნებისმეტყველება - დაწყებითი საფეხურის I-VI კლასის ბუნებისმეტყველების წარმოდგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, ვინაიდან მოცემული კომპლექსური დავალებები, ორიენტირებულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, გარდა ამისა, კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნა , მოსწავლეებისგან მოითხოვს „ახლის შექმნას“ , „ძველის ახლებურად აღქმას“ რაც მოსწავლეებს განუვითარებს შემოქმედებით უნიარებს. ბუნებისმეტყველების კურიკულუმების აგებისას სრულად არის გათვალისწინებული, სავალდებულო საგნობრივი მოთხოვნები, კერძოდ, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თუ რა საგნობრივ საკითხებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. განსაზღვრული სავალდებულო თემების ფარგლებში მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები/ქვეცნებები), საკითხები შერჩეულია საფეხურის შედეგებიდან გამომდინარე, რაც სასწავლო შინაარს/ კონტექსტს შედეგებზე ორიენტირებულს ხდის.

გარდა ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე, უნდა ითქვას, რომ პედაგოგები ცდილობენ შეარჩიონ ისეთი დავალებები, რომლის ფარგლებში მიღებული ცოდნის ტრანსფერს მარტივად შეძლებენ და რომლებიც მოსწავლეებს განუვითარებს კომუნიკაციურ და თანამშრომლობით უნარებს.

ამგვარად, ბუნებისმეტყველების პედაგოგები იაზრებენ, კომპლექსური დავალებების როლს ამ უნარების გააქტიურებაში, შესაბამისად მათი ზეპირსიტყვიერი ნარატივიდან გამომდინარე , ცდილობენ და ეცდებიან სასწავლო პროცესები მაქსიმალურად დააფუძვნონ სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმები ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. ეს კარგად ჩანს თვითშეფასების ანგარიშში და სასკოლო სასწავლო გეგმაში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მოქალაქეობა (ეთიკა და პასუხისმგებლობა). მართალია არის ხარვეზები (მე-2, მე-3 და მე-4 კლასები) სამიზნე ცნებებისა, ქვეცნებებსა და საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებელი იაზრებს საკითხის მნიშვნელობას და გამოთქვამს მზაობას მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში.

სახელმწიფო ენა - დაწყებითი საფეხურის კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა გააზრებულია ერთი მხრივ, ფუნქციურ უნარებზე, მეორე მხრივ, კი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებით. საუბრისას გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, ემპათია, კომუნიკაცია)მტკიცებულებად წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება.ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისუბრეს კომპლექსური დავალების განხორციელების შესახებ.

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. კათედრების მიერ, მიზნის მისაღწევად შერჩეული კომპლექსური დავალებები და სასწავლო რესურსები იძლევა საშუალებას მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და მოხდეს სამიზნე ცნებების, ფუნქციური უნარების (თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება) და მაკროცნების (კვლევა)

განვითარება. განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლის პიროვნული განვითარებაზე ზრუნვა. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრებს დაგეგმილი აქვთ, სხვადასხვა თემის ფარგლებში, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების სრულყოფა და შექმნა.

სპორტი - სკოლის მიერ შედგენილი და წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ითვალისწინებს: სამიზნე ცნებების, რომელიცაა: ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი და ცხოვრების ჯანსაღი წესი და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებასა (6 უნარი) და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს.(წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში იყო მცირედი უზუსტობა, ზოგიერთი კურიკულუმის ჩარჩოში, რამოდენიმე თემის გასწვრივ, აკლდა დავალების პირობის მინიშნება, რაც კოლეგების თქმით იყო ტექნიკური ხარვეზი გადაკოპირებისას და გამოასწორებენ სასკოლო გეგემის დამტკიცებამდე. მათ აქვთ მზაობა ამისათვის, რადგან თემების დანარჩენი ნაწილი იყო სრულყოფილად შეტანილი კურიკულუმში) **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, შესაბამისად სკოლა არ ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, არ უწევთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე მუშაობა.

თუმცა სწავლების პროცესი პედაგოგები ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ვინაიდან კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოცემულია კურიკულუმებში, ორიენტირებულია მოსწავლეთა პიროვნული ძალების

განვითარებისკენ, ვინაიდან კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ახალი პრაქტიკაა, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მათი მოსწავლეებისთვის ამ ეტაპზე გეგმავენ დაგეგმლის შესაბამისად წარმართონ სასწავლო პროცესები, შემდგომი დაკვირვების საფუძველზე კი მეტად მოარგონ საჭიროების შესაბამისად, მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს. დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა სურვილებს, ინტერესებს, საჭიროებებს. ყოველივე ამას ადასტურებს, მასწავლებლებთან ზეპირი გასაუბრების დროს გამოკვეთილი აქცენტები, მოსწავლეების მიერ შექმნილი დავალებები, რომლებიც სკოლაში ვიზიტის დროს მატერიალურად წარმოადგინეს მასწავლებლებმა და რომლებიც საკლასო სივრცეში საპატიო ადგილს იკავებენ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. მათემატიკა - წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას (დაწყებითი საფეხური 5- კლასის მეორე სემესტრიდან). სკოლის მიერ, 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა. სამინისტროს მიერ ავტორიზაციის ქოუჩინგის ფარგლებში მიწოდებული მოდელის მიხედვით, ამის

მზაობა მათ გააჩნიათ. **რჩევა:სასურველია შეიქმნას 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე მათემატიკაში, დაწყებით კლასებში, თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამასთან, კომპლექსური დავალებების პირობების შექმნისას გათვალისწინებულ იქნას დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან მიმართებით.**

უცხოური ენები - განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აჩვენებს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე ადგენს მოსწავლის წინარე ცოდნას და წარმოდგენებს; გამოავლენს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; აჩვენებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. ამ ამოცანების შესრულება ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ სკოლა არ იყო ჩართული ზოგადი განათლების რეფორმაში და მათ ნაკლები გამოცდილება აქვთ ამ მიმართულებით, განმავითარებელ შეფასებას ძირითადად ზეპირსიტყვიერად აწარმოებდნენ, ხოლო V-VI კლასებში იყენებდნენ განსაზღვრელი შეფასებისათვის სტანდარტულ რუბრიკებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ რამდენიმე რუბრიკის შექმნა მოახერხეს ქოუჩინგის პროცესში,

თუმცა, მათ მიერ შექმნილი რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, რათა ისინი მაქსიმალურად მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი გეგმავენ აღნიშნული მიმართულებით პროცესების გაძლიერებას, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავებას, რომელიც მაქსიმალურად მიმართული იქნება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორინტირებზე.

რჩევა: რუბრიკები სასურველია დაიხვეწოს, რათა ისინი მაქსიმალურად მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ბუნებისმეტყველება - ბუნებისმეტყველების პედაგოგს მტკიცებულების სახით აქვთ წარმოდგენილი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ამ ეტაპზე განმავითარებელი შეფასება მხოლოდ ზეპირსიტყვიერად წარმოებდა, თუმცა, წარმაოდგინა სამომავლო ხედვა მომდევნო სასწავლო წელს, რა სახით მოხდება შეფასება, კერძოდ სამ დღიანი ქოუჩინგის ფარგლებში შექმნილი განსაზღვრელი შეფასების ერთი რუბრიკა, რომელებზეც დაფუძვნებითაც შეფასება მიმართულია თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორებზე ანუ გრძელვადიან მიზნებზე, რომლის საფუძველზეც ბუნებისმეტყველების პედაგოგი თემის შემაჯამებელ ქულას დაწერს/აღწერს მოსწავლეების მიღწევებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. წარმოდგენილია ასევე, კომპლექსურ დავალებაზე დაფუძვნებული განმავითარებელი შეფასების ანალიტიკური რუბრიკა, სადაც გაწერილი აქვს წინასწარი მოლოდინები, მკვიდრ წამროდგენებთან მიმართებით, სამიზნე ცნებების, ქვესაკითხების მიმართებით და აბსტრაქტულ დონეზე გააზრების შემთხვევაში.

პედაგოგთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ გაიაზრა არსებული რუბრიკების გამოყენების მიზნობრიობა და ეფექტურობა, რის საფუძველზეც გეგმს ეტაპობრივად დამატებით რუბრიკების შექმნას.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფსებისას. რასაც ადასტურებს კათედრების მიხედვით წარმოდგენილ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, შემაჯამებელი დავალების ანალიზით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ განმსაზღვრელ შეფასებას იყენებენ შემაჯამებელი დავალებების დროს, ხოლო განმავითარებელი შეფასებისას შემოიფარგლებიან მხოლოდ სიტყვიერი კომენტარებით უშუალოდ განხორციელებული აქტივობის დროს. მაგრამ, რადგან, კომპიუტერული ტექნოლოგიები გაერთიანებული არის მათემატიკის კათედრასთან და აღნიშნულ კათედრას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია ე.ი. ზოგადად აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. ასევე საგნის მასწავლებლებთან ჩატარებული ქოუჩინგის დროს შევსებულ საგნობრივ ოქმში მითითებულია თუ როგორ მოხდება განმავითარებელი შეფასების წარმოება მომდევნო სასწავლო წელს. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის.

სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის გაცნობისას გაირკვა, რომ მასწავლებლები იცნობენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნის მექანიზმს, აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, ძირითადად, იყენებდნენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს (წაკითხულის გააზრების, პრეზენტაციის,

ჩართულობის და სხვ). განმავითარებელი შეფასებისას მიმართავენ ზეპირ კომენტარს,იშვიათად წერილობითს.როგორც აღნიშნეს სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ შექმნან კურიკულუმში წარმოდგენილი თემების მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში.

ესთეტიკური აღზრდა - წარმოდგენილ მასალებში მოცემულია თემის ინდიკატორებსა და სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე ნიმუში, სადაც მოცემული კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს და საშუალებას იძლევა შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი.

სპორტი - სკოლის მიერ შექმნილი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდის საგანში დაწყებითი საფეხურისათვის შემუშავებულია ისე, რომ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. თუმცა, ისინი საჭიროებს დახვეწას, იმისთვის , რომ შეფასების რუბრიკებში სრულად იყოს გათვალისწინებული ე.ს.გ. მოთხოვნები, სასურველია რუბრიკები შემუშავდეს სასწავლო თემების შესაბამისადაც

რჩევის სახით, სასურველი იქნება სამომავლოდ შეიმუშაონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კურიკულუმისთვის შერჩეული სასწავლო თემების მიხედვით

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის ღორთუბნის საჯარო სკოლის საგნობრივი კათდრების წარმოამდგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. აღნიშნული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება 2023-24 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებულ/რევიზირებულ დოკუმენტებში. . **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1)დაწყებთი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

2)განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

3)კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

4)კურიკულუმის ჩარჩო

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 კურიკულუმის განხორციელება

1.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მათემატიკა- ინტერვიუსას პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ ითვალისწინებნ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. ამით ცდილობენ გაზარდონ როგორც მოტივაცია, ასევე პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა; მაგალითად: საგნის კურუკულუმის შესწავლის დროს იდეა/კონტექსტ მაგალითების ველში ხშირად გვხდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა დაეხმარე რწყილს, დაეხმარე წითელქუდას, დახატე გეომეტრიული ფიგურა, დაეხმარე გიორგის ტომრების დაწყვილებაში, დაამზადე სათამაშო მანქანა, რაც ცალსახად გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოსწავლეები არიან ჩართული შემოქმედებითი პროცესებში. ასევე ეს გარემოება დადასტურდა საგნის მასწავლებლებელთან ინტერვიუს დროს დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებში.

უცხოური ენები - სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის მიერ დაგეგმილი და დაწერილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის

იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებლი ქმნის გარემოს სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასთან, გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას. გამომდინარე იქედან, რომ სკოლა არის მცირე კონტინგენტიანი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საგაკვეთილო პროცესში, საგნის პედაგოგები ცდილობენ ისეთი დავალებების შეთავაზებას, რომელიც ხელს შეუწყობს მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას მათი ინტერესებიდან გამომდინარე. (მაგ: რეკლამის მომზადება სასურველ თემაზე და სხვა).

ბუნებისმეტყველება - კომპლექსური ბუნების დავალებების, სასკოლო პროექტის განხორციელებით ბუნებისმეტყველების მასწავლებლები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას სასწავლო პროცესებში. ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული აქტივობებით პედაგოგები მოსწავლეთა ინტერესსა და ჩართულობას აძლიერებენ. ამას ადასტურებს, ბუნებისმეტყველების პედაგოგის მიერ, „ დედამიწის დღესთან“ დაკავშირებით განხორციელებული აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარა მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვაში, რითაც შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვთარებას შეუწყო ხელი. შერჩეული კომპლექსური დავალებების პროდუქტების შექმნით მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების რეალიზებას უწყობს ხელს.

ტექნოლოგიები - საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რადგან შუალედური მიზნები განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეებით, კერძოდ კომპიუტერული ტექნოლოგიების მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, (ნაკლებად ჩანს მე-2, მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში) ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებით (კათედრის ოქმი, სასკოლო პროექტები). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შედეგად, ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეები ყავდეს ჩართული აქტიურ შემოქმედებით პროცესში, ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სკოლა და კერძოდ მათემატიკის კათედრა მომდევნო სასწავლო წელსაც ორიენტირებული იქნება მაღალ სააზროვნო უნარებზე.

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

მასწავლებლები სწორად და გააზრებულად გეგმავენ სასწავლო პროცესს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა აქტიურ პროცესებში ჩართულობას, ხშირად უწევთ გაკვეთილის გეგმიდანაც გადახვევა,თუკი ამას მოსწავლეთა ინტერესები მოითხოვს,სასწავლო პროცესში მიმართავენ სახალისო აქტივობებს,რაც ემსახურება არა მხოლოდ მათ აქტიურ ჩართულობას,არამედ მაღალი სააზროვნო უნარებისა და შემოქმედებითობის განვითარებას.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ გაითვალისწინონ

მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები (იდეის დონეზე), წარმოდგენილია, როგორც პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები.

ფიზიკური აღზრდა - სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის (1-6 კლასები) კურიკულუმებში შეტანილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, მათზე დაგეგმილი ფესტივალები, ასევე ლაშქრობა და ფიტნესის მიმართულებით დაგეგმილი სასკოლო აქტივობები , სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე , იძლევა სწავლების თავისუფალი არჩევანის საშუალებას. თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოსავლენად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. მათემატიკა- სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალებების იდეა, კონტექსმაგალითები, რომელიც მოსწავლისთვის ნაცნობია, მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების

წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.

უცხოური ენები - სასწავლო თემები ისეა შერჩეული მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით, რომ დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა წარმოადგენს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კომპლექსური დავალებების პირობა ფორმულირებულია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანოს, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი და სხვა - ეს ყველაფერი ეხმარება სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, სკოლის მცირე კონტინგენტიდან

გამომდინარე, მასწავლებლებმა იციან თითოეული მოსწავლის წინარე ცოდნა, ინდივიდუალური შესაძლებლობები თუ ინტერესები და ცდილობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს მაქსიმალურად გაითვალისწინონ თოთოეული მოსწავლის წინარე ცოდნა.

ბუნებისმეტყველება - მასწავლებლებთან გასაუბრებით მტკიცდება, რომ ბუნებისმეტყველების მასწავლებლებს აქვთ გააზრებული მოცემული პრინციპის მნიშნელობა, აქტიურად ცდილობენ ახალი ცოდნის აგების პროცესში გამოყენებული დავალებები და აქტივობები დააფუძნონ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ამას ადასტურებს კურიკულუმებში კომპლექსური დავალებებისთვის მოცემული კონტექსტ-მაგალითები და სასწავლო რესურსებიც.

ტექნოლოგიები - დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოში, მოცემული კომპლექსური ბუნების დავალების იდეები და გამოყენებული რესურსები გვაჩვენებს, რომ მოსწავლეები შექმნიან საინტერესო პროდუქტებს და მოხდება ცოდნის ტრანსფერი, ამას ასევე მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი პროექტები და კომპლექსური დავალებები ადასტურებს. რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ, ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

სახელმწიფო ენა - მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს , რომ ისინი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობენ , განხორციელებული აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება , მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას , გამოცდილებას , ინტერესებს , ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის

ახალთან დაკავშირებაში , სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს , თემას , მომდევნო სასწავლო წლისათვის გადაწყვეტილი აქვთ ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელება.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალებების იდეა, კონტექსმაგალითები, რომელიც მოსწავლისთვის ნაცნობია, მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა.

ფიზიკური აღზრდა - პედაგოგების თქმით, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლე წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით იღებს ახალს. ეს პროცესი აადვილებს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლას. პედაგოგმა სიტყვიერად აღწერა მის მიერ განხორციელებული საგაკვეთილო პროცესი ინტერვიუსას. სამომავლოდაც მისგან ჩანს მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგარძელებისა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. მათემატიკა- სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს

გაითვალისწინოს სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. დაწყებითი საფეხური საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი მეტად გააკეთონ სწავლის სწავლაზე,

უცხოური ენები - უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებთან. რავ გულისხმობს მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავენ ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. ეფექტიანი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. ამისათვის, ა) კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ბ) სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. გ)

მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. დ) წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა).

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ შეაფასონ და წარმართონ თავიანთი სწავლის პროცესი, თუმცა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ სჭირდებათ ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, მოსწავლეებში თვითრეფლექსიური უნარების ხელშეწყობა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტის ხელშეწყობა სასწავლო პროცესში.

ბუნებისმეტყველება - მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე, კომპლექსური დავალებების წარდგენის ბოლოს დასმული შეკითხვებს გამოიყენებს, მოსწავლეების მხრიდან დასაფიქრებლად საკუთარი სწავლების პროცესზე. ეს შეკითხვები მოცემულია მატრიცებში კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების ბოლოს. აღნიშნავს, რომ აქტიურად შეეცდება დააგროვოს გამოცდილება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის და ამ პროცესებში მოსწავლეებს დაეხმაროს საკუთარი ძალების რეალიზებაში.

ტექნოლოგიები - საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილ კომპლექსური დავალების იდეებზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან გასაუბრებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი

ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. რადგან საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები იყენებენ ცოდნის სამივე კატეგორიაზე მიმართულ კითხვებს და აქტივობებს.

სახელმწიფო ენა - მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეებში რეფლექსიის უნარის განვითარებას. მაგ: რა შეასრულა კარგად ,რა ცოდნამ ,გამოცდილებამ ,სტრატეგიამ მოუტანა წარმატება ,როგორ გაუმკლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ მოსწავლეებმა ნამუშევრის წარდგენის შემდეგ თანატოლების წინაშე ისაუბრეს აღნიშნული დავალების შექმნის პროცესზე , დეტალურად გაანალიზეს თითოეული ნაბიჯი , სწავლის პროცესი , რასაც , შესაბამისად , მოჰყვა უკუკავშირი , როგორც თანაკლასელებისაგან , ისე მასწავლებლისგანაც. ფიქრობენ,რომ მომავალი სასწავლო წლიდან მეტი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა.

ფიზიკური აღზრდა - როგორც მასწავლებელმა გასაუბრების დროს აღნიშნა,. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ სახალისო და საინტერესო აქტივობებში (მაგალითად ფესტივალები მოძრავი თამაშები, ძალისმიერი ვარჯიშები, ლასქრობა), რომლებიც მათ არსებული ფიზიკური თვისებების განვითარების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის გამოვლინებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს და ეხმარება ნასწავლის გაანალიზებასა და შეფასებაში. სკოლისაგან ჩანს მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგარძელებისა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. **მათემატიკა** - წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს სასკოლო კურიკულუმები დაწყებითი საფეხურის ყველა კლასისთვის. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის სასწავლო კურიკულუმები შეიქმნა მსგავსი კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, რომლითაც მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას.

უცხოური ენები - ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის საგნობრივ პროგრამაში. სასწავლო პროცესში მოსწავლე დაამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას. გაეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც (დეკლარატიული ცოდნა), დასვამს და უპასუხებს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. მოსწავლე ასევე შეიმუშავებს მოქმედების წესებს და ალგორითმებს და შეასრულებს მას, შეძლებს ზუსტად განსაზღვროს მოქმედების ნაბიჯები და თანმიმდევრობა, გამოიმუშაოს გარკვეული უნარები. მაგალითად ტექსტის დამუშავებისას იცის რა მოქმედებები განახორციელოს, როგორ წაიკითხოს, სად და როგორ მოძებნოს ახალი სიტყვები და ა.შ. პროცედურული ცოდნა არის ყველაფერი რაც კი ნასწავლი აქვს მოსწავლეს სწავლის სტრატეგიების შესახებ. პირობისეული ცოდნა კი მოითხოვს მოსწავლისგან ცოდნის მოქმედებაში გადატანას, მის ინსტრუმენტალიზაციას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. მოსწავლეს მოუწევს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობა. პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლეს მოუწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. **საზოგადოებივი მეცნიერებები** - „მე და საზოგადოებისა“ და „ჩვენი საქართველოს“ საგნების მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების, კომპლექსური დავალებების ანალიზისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ, დადგინდა რომ სასწავლო პროცესი მეტ-ნაკლებად ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობასა და განვითარებას. კომპლექსური დავალებებით მუშაობა იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლემ შეძლოს როგორც თეორიული ცოდნის მიღება, ისე სხვადასხვა ქმედების შესრულება და მისი შემდგომი საჭიროებისამებრ გამოყენება.

ბუნებისმეტყველება - ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, მოსწავლე მოცემული დავალების შესრულებაში უწევს სამივე კატეგორიის ცოდნის ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება. კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებებზე მუშაობის დროს გამოსაყენებელი აქტივობები მეტ-წილად ემსახურება ცოდნის რეალობაში ტრანსფერს. მტკიცებულებად გამოყენებულია , მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოკვეთილი პრაქტიკა, კომპლექსური დავალებების ბარათი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები.

ტექნოლოგიები - საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილ კომპლექსური დავალების იდეებზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან გასაუბრებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. რადგან საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები იყენებენ ცოდნის სამივე კატეგორიაზე მიმართულ კითხვებს და აქტივობებს.

სახელმწიფო ენა - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში,მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში,მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.შეხვედრისას მასწავლებლებმა ისაუბრეს და მოსწვლეთა ნამუშევრებიც წარმოადგინეს.

ესთეტიკური აღზრდა - წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც

მეტყველებს სასკოლო კურიკულუმები დაწყებით საფეხურის ყველა კლასისთვის. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ფიზიკური აღზრდა - პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის პედაგოგის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნის მიღებას და განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ. ახალი მასალის ახსნისას, პრაქტიკული მიმართულებით, ის ჯერ უხსნის მოსწალეს თემაში ცალკეულ ტექნიკურ ელემენს, თავად ასრულებს მას, შემდეგ მოსწავლეს ამეორებინებს და ბოლოს ათამაშებს მოსწავლეს მიღებული ცოდნის გამოსაყენებლად. ეს პრაქტიკა აღწერა პედაგოგომა გასაუბრებისას. სკოლისაგან ჩანს მზაობა სამომავლოდაც ამ პრინციპით მუშაობის გაგარძელებისათვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5. **მათემატიკა**- სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ცოდნის ორგანიზებისთვის ტარდება შემაჯამებელი სამუშაოები . სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, მასწავლებლებთან გასაუბრებით ჩანს, რომ გეგმავენ დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

უცხოური ენები - სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება მეტად მნიშვნელოვანია. საგნობრივი კურიკულუმი, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზას წარმოადგენს. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თემა ეს არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. თემა ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, სკოლა გეგმავს კომპლექსური დავალებების აქტიურ გამოყენებას ახალ სასწავლო წელს, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომელიც იძლევა ცოდნათა

ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აპირებენ ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სასკოლო პროექტების განხორციელებას, რომელიც ასევე ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკვშირებასა და ორგანიზებას.

ბუნებისმეტყველება - პედაგოგები ცდილობენ მათ მიერ განხორციელებული, მომდევნო სასწავლო წლისთვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებებით გააქტიურონ მოცემული პრინციპი. გეგმავენ ეკო კლუბის გააქტიურებას, სასკოლო პროექტებზე მუშაობას „გარემოს დაცვასთან“ დაკავშირებით, რომელიც ჯერ-ჯერობით მოცემულია მხოლოდ იდეის დონეზე.

მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შერსრულებული დავალებებიდან გამომდინარე, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს უწევთ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება.

ტექნოლოგიები - სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტების მსვლელობისას განხორციელებული აქტივობების გაცნობისას, დასტურდება რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა - საგნის სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად

სწავლების საშუალებას იძლევა. მასწავლებლები სამომავლოდ გეგმავენ ყოველი განსაზღვრული თემით უზრუნველყონ სასწავლო მასალის კავშირი მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან.

ესთეტიკური მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა, ხოლო კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. მასწავლებლებს კარგად ესმით, რომ კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.

ფიზიკური აღზრდა - ფიზიკური აღზრდის საგნისთვის შედგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. შერჩეული სასწავლო თემების მიხედვით დაგეგმილი კომპლექსური დავალებების მომდევნო სასწავლო წლიდან სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში, რომელშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- სასკოლო სივრცეში გამოფენილი მოსწავლეთა ნამუშევრები
- კომპლექსური დავალების ბარათი
- კათედრებზე განხორციელებული პროექტები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მათემატიკა.–_ დაწყებით საფეხურის მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნების ძირითადი საკითხები შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. მათ მიერ

წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა;

უცხოური ენები - სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ჩანს რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, სკოლა გეგმავს კომპლექსური დავალებების აქტიურ გამოყენებას ახალ სასწავლო წელს, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომელიც იძლევა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აპირებენ ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სასკოლო პროექტების განხორციელებას, რომელიც ასევე ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკვშირებასა და ორგანიზებას.

ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში, მოცემული საგნობრივი საკითხები ერთის მხრივ მიმართულია სამიზცნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისკენ, უკავშირდება სამიზნე ცნების ქვეცნებებს, საკითხების ამგვარი ფორმულირება მისცემს საშუალებას პედაგოგს გაიყვანოს მოსწავლეები თემაში განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმებში

სამიზნე ცნებებისთვის განსაზღვრული აქვთ შესაბამისი ქვეცნებები, შინაარსობრივად მიმართულია საკითხთა კლასტერისკენ, სამიზნე ცნებისკენ. მასწავლებლებთან სკოლაში ვიზიტის დროს გასაუბრებით,დამატებითი შეკითხვებით, ნათელი გახდა, რომ სკოლას სჭირდება მეტი გამოცდილების დაგროვება და მხარდაჭერა სასკოლო კურიკულუმების, ესგ-ის დანერგვის პროცესების კონცეპტუალური მხარის გააზრებასთან, გათავისებასთან დაკავშირებით.

პედაგოგებს გააზრებული აქვთ, ესგ-ის დანერგვისა და განვითარების აუცილებლობა, აქვთ მზაობა პრაქტიკაში გამოცადონ კომპლექსური დავალებები. გააზრებული აქვთ კავშირი მიზანს, სწავლის მექანიზმებსა და სასწავლო მასალა/რესურსებს შორის, აქვთ მოტივაცია, შესაძლებლობა და მზაობა ესგ-ით განსაზღვრული მოთხოვნების რეალიზების.

ტექნოლოგიები - სკოლის მიერ საგან, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, რომლისკენაც სწავლა-სწავლების პროცესი მიემართება, ასევე წარმოდგენილია საგნობრივი საკითხები და რესურსები მუშაობისთვის. მასწავლებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებელი იაზრებს საკითხის მნიშვნელობას და აქვს ხედვა, რომ საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

სახელმწიფო ენა - მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესი მიემართება სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას.წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები სწორედ გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული.მასწავლებლებმა სამომავლოდ უნდა შეარჩიონ ისეთი კომპლექსური დავალებები , რომლებიც

განსაზღვრავს იმ ცოდნას , რასაც მოსწავლე საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს და ახალი სასწავლო წლიდან შეიტანონ ცვლილებები თემატურ მატრიცაში. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები..აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება.]

ფიზიკური აღზრდა - გასაუბრებსას აღნიშნეს პედაგოგებმა და შედგენილი კურიკულუმებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებთან; პედაგოგის აღწერით, შედგენილ კურიკულუმებში შეტანილი თემების მიხედვით, სასწავლო პროცესი ისე აქვს დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. მათემატიკა- დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო, მოსწავლეები გრძნობენ , რომ მათი ხმა ესმით და მნიშვნელოვანია, განმავითარებელი შეფასებები და კომენტარები, დამრიგებელთა მიერ ჩატარებული კლასის საათები, ექსკურსიები, გასვლითი ღონისძიებები, ყველაფერი ეს მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში, თვითშეფასების ამაღლებაში, სოციალური უნარების განვითარებაში და ემოციების მართვაში. დაწყებით საფეხურზე მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ძირითადი თემებია განსაზღვრული, უმეტესობა თემების დაგეგმილია დაფარონ კომპლექსური დავალებებით. ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა, თუ როგორ წარიმართება მათი სასწავლო პროცესი კურიკულუმების მიხედვით, რა რესურსებით გეგმავენ შესაბამისი აქტივობების გამრავალფეროვნებას მოსწავლეებში მოცემული თემის შესწავლისათვის მეტი მოტივაციისა და ინტერესის გაზრდისათვის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას.

უცხოური ენები - საგნობრივი კონტექსტი ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესზე. შესაბამისად ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, სკოლის მცირე კონტინგენტიდან გამომდინარე, მასწავლებლებმა იციან თითოეული მოსწავლის წინარე ცოდნა, ინდივიდუალური შესაძლებლობები თუ ინტერესები და ცდილობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს მაქსიმალურად გაითვალისწინონ თოთოეული მოსწავლის წინარე ცოდნა.

ბუნებისმეტყველება - კომპლექსური დავალებები იმგვარად აქვთ შერჩეული, რომ მეტ-ნაკლებად ცდილობენ ხელი შეუწყონ მოსწავლეების ფსქიო-სოციალურ განვითარებას, რაც იმას გულისხმობს, რომ მასწავლებლები გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინიციატივებს, თუნდაც დავალების პროდუქტის ფორმის, პროდუქტის შექმნის სივრცესთან დაკავშირებით. ვინაიდან მათ არ ჰქონიათ შესაბამისი გამოცდილება, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის, სიფრთხილით და პოზიტიური მოლოდინებით გეგმავენ და აპირებენ გააქტიურონ საგნობრივ კურიკულუმში ასახული საგნობრივი კონტექსტები. ამ მიმართულებით შესაბამისი მტკიცებულებათა დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი, თუმცა გასაუბრების დროს აღნიშნავენ, რომ აწყობენ შემეცნებით ექსკურსიებს/პიკნიკებს.

ტექნოლოგიები - სკოლის მიერ საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი, კურკულუმის ჩარჩოში სხვადასხვა მიმართულებით არის კომლექსური ბუნების დავალებების იდეები, მათ შორის სამიზნე ცნება ციფრული მოქალაქეობის ფარგლებში, რაც გვაძლევს ისმის დასკვნის საშუალებას, რომ მასწავლებელი იაზრებს და საგნობრივი კონტექსტი ნაწილობრივ ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

სახელმწიფო ენა - ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში,არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე,დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი მხარეები,მართონ საკუთარი ემოციები.მაგ-თხზულების დაწერა თემაზე-რას ვფიქრობ საკუთარ თავზე,წიგნის,მულტფილმის მიმოხილვა.

ესთეტიკური მეცნიერებები - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა.

ფიზიკური აღზრდა - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები , სპორტული ღონისძიებები ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით, უზრუნველყოფს ფიზიკური უნარების განვითარებას, ორგანიზებულობა და თვითკონტროლის უნარების გააქტიურებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების გააზრებას. კურიკულუმებში

გაწერილ თემების მიხედვით, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი და განსახორციელებელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ კეთილდღეობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. მათემატიკა- დაწყებით საფეხურზე დანერგილი შეფასების სისტემა, რომელიც ძირითადად ხორციელდება და ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას, მისი ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ამისათვის გამოიყენება განმავითარებელი შეფასების ფორმები: ტესტები, განმავითერებელი კომენტარები, შეფასების რუბრიკები, პროექტები და სხვა. შეფასება არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე და ემსახურება მოსწავლის პროგრესს, თუმცა საჭიროა მეტად დაიხვეწოს შეფასების სისტემა, რათა უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარება. დაწყებითი საფეხურის დაწყებითების მასწავლებლები პირველიდან მე-5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით მოსწავლეებს აფასებენ განმავითარებელი შეფასებით. მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში კი როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. მათ გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი , ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და სასწავლო პროცესის დაწყებამდე გეგმავენ შექმნან შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში.

უცხოური ენები - სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრას დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შესაბამისად შემუშავებული აქვთ როგორც კომპლექსური დავალების

განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობებისთვის. მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ ორი ტიპის შეფასებას (განმსაზღვრელი და განმავითარებელი).

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ შეაფასონ და წარმართონ თავიანთი სწავლის პროცესი, თუმცა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ სჭირდებათ ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, მოსწავლეებში თვითრეფლექსიური უნარების ხელშეწყობა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტის ხელშეწყობა სასწავლო პროცესში.

ბუნებისმეტყველების საგანში სკოლაში გამოიყენება 1-4 კლასის და მე-5 კლასის პირველ სემესტრში, მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, მე-5 კლასის მეორე სემესტრსა და მე-6 კლასში, როგორც განმავითარებელი, ასევე განსაზღვრელი შეფასება. პედაგოგებთან ინტერვიუდან გამომდინარე, მასწავლებლები განმავითარებელ შეფასებას იყენებენ მოსწავლეთა ცოდნისა და სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის, შეფასებას აწარმოებენ ზოგადი სახის რუბრიკებზე დაფუძვნებით, სადაც ფასდება მოსწავლეთა ჩართულობა, თდავალებების შესრულების ხარისხი და ა.შ სოლო ტაქსონომიით შეფასების გამოცდილება არ ჰქონიათ. უკუკავშირებს უმეტესად აწვდიან მოსწავლეებს ზეპირსიტყვიერად. შეფასების სისტემა ნაწილობრივ უჭერს მხარს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებას.

ტექნოლოგიები - სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა და ასევე კათედრების მიხედვით შეფასების რუბრიკები. რადგან კომპიუტერული ტექნოლოგიები მიეკუთვნება მათემატიკის კათედრას, განვიხილე მათემატიკის კათედრის დოკუმენტაცია სადაც ჩანს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

სახელმწიფო ენა - როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა კათედრას აქვს შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, თეორიულად გათავისებული აქვთ განმავითარებელი შეფასების მექანიზმი,ახალი სასწავლო წლიდან შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

ესთეტიკური მეცნიერებები - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები, აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს.

ფიზიკური აღზრდა - სკოლის მიერ შექმნილი ფიზიკური აღზრდის საგნისთვის შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტით გაწერილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან და გათვლილია მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებაზე, კოლეგების თქმით,

ისინი ხშირად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შემდგომ განვითარებას.

4. მათემატიკა-. სკოლაში დანერგილია ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემა. გამოიყენება განმავითარებელი შეფასების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: განმავითარებელი კომენტარი, ზეპირი და წერილობითი უკუკავშირები, შეფასების რუბრიკები. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება დირექციასა და პედაგოგთა შეხვედრებზე; პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს; მათემატიკის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუსას გაირკვა რომ შეფასება არის ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც მასწავლებელმა მათ გააცნო. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა, თუმცა რუბრიკები ცალკეული აქტივობებისთვისაა.

რჩევა:შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან შეიქმნას თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე.

უცხოური ენები - შეფასება სიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია ამ ეტაპზე ის სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული, გააზრებულია, მაგრამ გაზიარებული არ

არის, იგეგმება სასწავლო პროცესის დაწყებისას გაზიარება. შეფასების სისტემური ხედვა ასახავდეს შემდეგ საკვანძო საკითხებს: შეფასების კონცეფციას, მეთოდიკურ ორიენტირებს და მიდგომის შემუშავებას, შეფასების მიზნის განსაზღვრას, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას. სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს აქვს განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - „მე და საზოგადოებისა“ და „ჩვენი საქართველოს“ საგნების მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების, კომპლექსური დავალებების ანალიზისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ, დადგინდა რომ სასწავლო პროცესი მეტ-ნაკლებად ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობასა და განვითარებას. კომპლექსური დავალებებით მუშაობა იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლემ შეძლოს როგორც თეორიული ცოდნის მიღება, ისე სხვადასხვა ქმედების შესრულება და მისი შემდგომი საჭიროებისამებრ გამოყენება.

ბუნებისმეტყველება - დაწყებით საფეხურზე, ბუნებისმეტყველების საგანში მტკიცებულების სახით წარმოდგენილია ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომელსაც იყენებდნენ წინა წლებში, თუმცა ამ მომენტისთვის შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელზე დაფუძვნებითაც ბუნებისმეტყველების პედაგოგი გეგმავს აწარმოოს შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი, ამდენად შერჩეული ინსტრუმენტი შეესაბამება მიზნებს, მოსწავლის საჭიროებებს და სწავლა-სწავლების რესურსებსა და დროს. მიზანი განსაზღვრავს როგორც შეფასების შინაარსს (რა უნდა შეფასდეს, რა შედეგი/სამიზნე ცნება არის შეფასების ორიენტირი), და ასევე პროცესს,

რომლითაც ეს შედეგი მიიღწევა. შეფასების რუბრიკასა და მექნიზმში ნათლად არის ასახული რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება.

შეფასების სისტემა შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, გაზიარებულია შეფასების ხედვა, გასაუბრების . **ტექნოლოგიები** - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. დროს მასწავლებელი აღნიშნავს, რომ აპირებს გაზარდოს მოსწავლეების ჩართულობა შეფასების დიზანის შემუშავებაში.

სახელმწიფო ენა - კათედრის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში გვხვდება განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მასში ნაჩვენებია მოსწავლეების შეფასება და შედეგების ანალიზი, ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ კათედრას აქვს მზაობა, მათ მიერ განხორციელებული შეფასებები იყოს ვალიდური და სანდო. ინტერვიუდან კი იკვეთება, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

ესთეტიკური მეცნიერებები - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს, შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; თუმცა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი

შეფასების რუბრიკების შექმნის არცთუ დიდი გამოცდილება აქვთ და კლასში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება უმეტესად ზეპირი უკუკავშირის საშუალებით.

ფიზიკური აღზრდა - გასაუბრებისას აღნიშნეს კოლეგებმა, რომ ისინი იყენებენ პრაქტიკაში შეფასების ინსტრუმენტებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს დაგეგმილი კომპლესური დავალებისა თუ შემაჯამებელისათვის. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

რჩევა: სასურველი იქნებოდა ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის დახვეწა, მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა. სასურველი იქნებოდა შემოთავაზებული სადიაგნოსტიკო შეფასების შერჩეული ინსრტუმენტის სასწავლო წლის განმავლობაში 2-3 ჯერ გამოყენებაც, რაც დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია (06.09.2023 წლის #59 ბრძანება). ინსტრუქციაზე დაყრდნობით სკოლა აპირებს შეფასების ვერაფიკაციის მექანიზმის დანერგვა-განხორციელებას. გარდა ამისა, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა შედეგების

ანალიზს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შედეგების ანალიზი ხდება შემაჯამებელ სამუშაოებზე დაყრდნობით. გამომდინარე აქედან, სკოლას აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი/ინსტრუქცია, თუმცა, აღნიშნული ინსტრუქცია არის ზოგადი და საჭიროებს დახვეწა/გაუმჯობესებას, ნაბიჯებისა და პროცედურების დაკონკრეტებას, მოსწავლეთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმზე მეტ აქცენტირებასა და შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევას, რომლითაც განხორციელდება აღნიშნული პროცესი.

რჩევა: სასურველია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი დაიხვეწოს/გაუმჯობესდეს, ნაბიჯები და პროცედურები დაკონკრეტდეს, გაკეთდეს მოსწავლეთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმზე მეტი აქცენტირება და შეირჩს შესაბამისი ინსტრუმენტები, რომლითაც განხორციელდება აღნიშნული პროცესი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

6.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლა აღრიცხავს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს და შეგროვებული დოკუმენტაცია გადაეცემა ადმინისტრაციას, შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. რადგან სკოლა იყენებს შეფასების ელექტრონულ სისტემას, ეს მონაცემების შენახვის საშუალებას იძლევა გრძელვადიანი პერსპექტივით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები
- განმავითარებელი შეფასება, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
2. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
3. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის კათედრების** მიერ საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი მტკიცებულებები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი საათობრივი ბადე. საგნობრივი პროგრამების შინაარსი, რაც გათვლილია მოსწავლეთა პიროვნული ზრდისთვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია კოლეგიალური თანამშრომლობის კულტურა, რაც გამოიხატება საგნობრივ კათედრებზე დაგეგმილი მრავალფეროვანი აქტივობებით. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ემსახურება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. ხოლო მოსწავლეთა შეფასება ხდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი კომენტარით. საგნობრივ კათედრებს შექმნილი აქვთ შეფასების კრიტერიუმები და იგი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. მოსწავლეთა მცირერიცხოვნებიდან გამომდინარე სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო, მიმღებლობა და ღიაობა. სკოლაში სასწავლო პროცესის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოდ რეალიზებისათვის სკოლას ესახება კოლეგების ურთიერთანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის“ განოყენაბას ეფუძნება. ამ დროს ხდება ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი, ჯანსაღი კრიტიკა და ეფექტური უკუკავშირი, ასევე გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციების გაცემა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. განხორციელებული აქვთ სხვადასხვა სახის პროექტები, კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სადაც ნაჩვენებია ინტეგრირებული გაკვეთილები, სასკოლო პროექტები, გაკვეთილებზე ურთიერთ დასწრება, ადასტურებს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრების** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუს დროს გამოთქმული მოსაზრებები იძლევა იმის თქმის საშუალებას რომ სკოლაში უზრუნველყოფილია უსაფრთხოება, სწავლა სწავლების პროცესი და მისი მხარდაჭერა, ინტერ პერსონალური და პროფესიულ ურთიერთობები, მართვის სტილი, ინსტიტუციურ გარემო, როგორც ავთენტური სივრცე სასკოლო საზოგადოებისათვის. პოზიტიური სასკოლო კლიმატი ძლიერ თანამშრომლობით კავშირს ამყარებს სასკოლო საზოგადოებას შორის, იყენებს გაზიარებულ ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლა იყენებს პოზიტიურ სასკოლო კლიმატის ფაქტორებს. კერძოდ, აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა.

პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად გარდა კურიკულარული პროცესებისა სკოლა გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. კერძოდ, სამოქალაქო აქტივობებისა და პროექტების წახალისება მოსწავლეებში ძირითადი მორალური ფასეულობების დამკვიდრების მიზნით; ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებები;

თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება; მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები და სხვა.

ეს აქტივობები ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. იგი ასახულია არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, ყველა ზემოთ მოცემული განზომილებების მიხედვით. მაგ: მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1)სასკოლო სასწავლო გეგმა

2)ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის** კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი რომელიც ვითარდება მონიტორინგის და შეფასების მეშვეობით. მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების დაწყებამდე შემუშავებულია მეთოდოლოგიური ჩარჩო/გეგმა, რათა მკაფიო იყოს რა კითხვებზე პასუხის გაცემას ემსახურება შეფასება. მეთოდოლოგიური ჩარჩო გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმის და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. მონიტორინგის მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს: მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, ინდიკატორების განსაზღვრა, მონაცემთა შეგროვების მეთოდებისა და ვადების განსაზღვრა, როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა, ანალიზისა და ანგარიშგების გეგმის შექმნა, შედეგების დისემინაცია და ასახვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. მასწავლებელებთან ინტერვიუებიდან დგინდება, რომ სასწავლო წლის დასრულებისას თითოეულმა მასწავლებელმა გაანალიზა მიღწეული შედეგები ესგ-სთან მიმართებაში. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მასწავლებლების შეხვედრები ინფორმაციის, პირადი გამოცდილების გაზიარებისა და კურიკულუმის დახვეწის მიზნით. მიღებული შედეგები საფუძვლად დაედო 2023-2024 სასწავლო წელს სასკოლო კურიკულუმის შექმნას. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიეს საფეხურებვის მიხედვით კურიკულუმებში სასწავლო საკითხები, შეადგინეს კომპლექსური დავალებები ცნებების მიხედვით, მოიფიქრეს საკვანძო შეკითხვები და აქტივობები.

ყველა საგნის კურიკულუმები, შემუშავდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში,შესაბამისი საგნების მასწავლებლების მიერ კოლეგებთან თანამშრომლობით. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები.მასში ასევე ასახულია სასკოლო თემის ინტერესები. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მეტად სრულყოფენ კურიკულუმს კომპლექსური დავალებებით, ამასთანავე შექმნიან როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი კურიკულუმის შექმნისას კათედრაზე აქტიურად თანამშრომლობენ წლის განმავლობაში. აკვირდებიან სასწავლო პროცესს, წარმოადგენენ ანგარიშებს, რის საფუძველზეც იგეგემება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო პროცესი, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით ქმნიან გეგმავენ სასკოლო პროექტებს, აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტში ასახულია კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვის მექანიზმები. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობენ ყველა საგნის მასწავლებლები და მისი შემუშავება ხდება კათედრებზე. ასევე ისინი ითვალისწინებენ, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლეთა ინტერესებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მორგებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზე, რაც კარგად გამოჩნდა მასწავლებლებთან ინტერვიუს ჩატარების დროს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო სასწავლო გეგმა

2.კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია

3.კათედრის ოქმები

4.ინტერვიუს შედეგები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასებაზე, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მაგ. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ზეპირსიტყვიერად განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების ფარგლებში შერჩეული ძირითადი საკითხების, კომპლექსური დავალებების მიხედვით. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა

და მოგვარების მიზნით ინფორმაცია შეგროვდება რაც შეიძლება მრავალფეროვანი წყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება).

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

_2. სსიპ - ადოგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები

გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სკოლა მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აკვირდება საგაკვეთილო პროცესს, სასკოლო კურიკულუმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, სტრატეგიული გეგმის მიმდინარეობას. ხდება მონიტორინგის შედეგების ანალიზი თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. ამ ეტაპისთვის **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია შეფასება სხვასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის მიერ მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნა, პროგრესი, საკლასო გარემო, სასწავლო

რესურსები, მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები, რომელმაც ზეგავლენა მოახდენს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე.**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1)ინტერვიუს შედეგები;

2) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

3)კათედრების ანგარიშები

4)სასკოლო სასწავლო გეგმა

5)შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ადოგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიიდან ჩანს და ინტერვიუს დროს მასწავლებლებმაც აღნიშნეს, რომ პერიოდულად ახორციელებენ სასწავლო პროცესის გადასინჯვასა და რევიზიას. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა ან მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრისა და დირექციის მუშაობა. მონაცემთა შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმების შესამუშვებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ - ადოგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმების განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმებში. ხოლო კურიკულუმების შედგენისას

გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითრების მეთოდოლოგია (ბრძანება 06.09.2023 #46)
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

(საბაზო საფეხური)

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან, ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ,,კურიკულუმის შემუშავებისა დაგანვითარების მეთოდოლოგია". (დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 06.09.2023 წლის #46 ბრძანებით). მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრები, დირექცია, მოსწავლეები და მათი მშობლები. წარმოდგენილი მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებსა და შესაძლებლობებს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით აღწერილია ჩართული მხარეების: სკოლის საგნობრივი კათედრების, დირექციის, მოსწავლეებისა და მათი მშობლების ფუნქცია-მოვალეობები.აღნიშნულ დოკუმენტში სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრისათვის კონკრეტული აქტივობებია განსაზღვრული. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად მასწავლებლებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინონ რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. კათედრის სხომებზე განიხილავენ შექმნილი საგნობრივი კურიკულუმებს, საჭიროების შემთხვევაში კი კურიკულუმებში ცვლილებას შეიტანენ. კურიკულუმის დასანერგად მასწავლებლები გაკვეთილებს წარმართავენ საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესები განხორციელდება, როგორც კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებით, ასევე კომპლექსური დავალებებისთვის განსაზღვრული აქტივობების გამოყენებით, რომლებიც მოცემული აქვთ მატრიცებში. ასევე მათ მიერ მოხდება დაკვირვება, თვითშეფასების წარმოება. მეთოდოლოგიის დიკუმენტის გათვალისწინებით დირექტორის მოვალეობაა

ფასილიტაცია გაუწიოს კურიკულუმის დანერგვის პროცეს და მოახდინოს მისი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფა. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მოიცავს კურიკულუმის რევიზიის პროცეს, რომლის მიზანია ახალი სასწავლო წლისთვის, კურიკულუმის დამტკიცებამდე, მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება კათედრის ხელმძღვანელის მიერ გამოკითხვის ჩატარება კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოვლენილი მიღწევების, სირთულეების და მათი დაძლევის გზების შესახებ, მასწავლებლების მიერ კითხვარის შევსება, რომლითაც დადგინდება კომპლექსურ დავალებების დადებითი, უარყოფითი მხარეები, სირთულეები შესრულების პროცესში, დავალების მნიშვნელობების განხილვა, რამდენად დაეხმარება მიღებული ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში და ა.შ. ამგვარად, წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმას და აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო მომსახურებას დაწყებით და საბაზო საფეხურზე. სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. კურიკულუმის შექმნის დროს ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, თემის საჭიროებებს. აღნიშნული სკოლა არ იყო

ჩართული „ახალი სკოლის მოდელში“ მათ არ ჰქონიათ შესაძლებლობა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდამჭერ ჯგუფებთან აქტიური კომუნიკაციის, რის გამოც აქვთ კურიკულუმებზე მუშაობის ნაკლები გამოცდილება, თუმცა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს კათედრის წარმომადგნელებმა დაწვრილებით ისაუბრეს, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან, მთელი წლის მანძილზე განხორციელებენ რეფლექსიებს, მიგნებების და სასწავლო პროცესის ანალიზის საფუძველზე, განავითარებენ უკვე მათ მიერ შექმნილ კურიკულუმებს. თუმცა სკოლაში არის პრაქტიკა, მასწავლებლების შეხვედრების, ინფორმაციის, პირადი გამოცდილების გაზიარების მიზნით. 2022-2023 სასწავლო წელს სასკოლო კურიკულუმის შექმნისთვის აქტიურად იყვნენ ჩართული სამ დღიან „ქოუჩინგში“ ავტორიზაციის ფარლგებში. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიეს საფეხურების მიხედვით კურიკულუმებში სასწავლო საკითხები, შეადგინეს კომპლექსური დავალებები ცნებების მიხედვით, მოიფიქრეს საკვანძო შეკითხვები და აქტივობები. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სასკოლო კურიკულუმი შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ.2023-20234 სასწავლო წლისათვის სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, თემის საჭიროებები და შესაძლებლობები. დირექციისა და მასწავლებელთა ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნასა და განხორციელებაშიაქტიურად იყვნენ ჩართული სკოლის კათედრები, რომელთა ინიცირებით სკოლაში შეიქმნება კლუბები, რომლის ფარგლებში უნდა განახორციელონ სხვადასხვა პროექტები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. საჯარო სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მასწავლებლების ჩართულობით შემუშავებული 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ

მოთხოვნებთან და გამომდინარეობს სასკოლო საზოგადოების მიერ შექმნილი მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან. ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით, მათი განვითარების გზები. მოცემული დოკუმენტით გათვალისწინებულია ფორმალური (საგაკვეთილო) და არაფორმალური (კლასგარეშე) კომპონენტების გამოყენებით სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს კურიკულუმის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ მრავალფეროვან საგანმანათლებლო აქტივობები. დოკუმენტის შესაბამისად მასწავლებლები გაიაზრებენ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებსა და მათი სასწავლო პროცესში რეალიზების გზებს, შექმნიან ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ და მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგებულ სასკოლო კურიკულუმებს. სკოლაში ვიზიტის დროს, ინტერვიუებზე, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ თავდაპირველად კათედრებზე განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, აანალიზებენ კათედრის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ფიქრობენ აღმოფხვრის გზებზე. მსჯელობენ, როგორია აკადემიური მოსწრება ამა თუ იმ კათედრაზე, როგორ წარიმართა არაფორმალური განათლება სკოლაში, რამდენად აქტიურად და ინტერესით ესწრებოდნენ მოსწავლეები საგანების გაკვეთილებს, მიღწეულია თუა არა დასახული მიზნები და ა.შ. სკოლის პედაგოგები იყენებენ სასკოლო სივრცეში შეხვედრებს, შიდა ფბ გვერდს, თიმსის პლათფორმას. ამგვარად, სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებენ საგნის მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები და სკოლის დირექცია. სკოლას წარმოდგენილი აქვს სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სხდომაზე ერთ-ერთ განსახილველ საკითხს სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება წარმოადგენდა, რაც ადასტურებს ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

ასევე, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი მუდმივად აწვდიან მოსწავლეებსა და მშობლებს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ და ამყარებენ მათთან ეფექტურ კომუნიკაციას სხვადასხვა სოციალური ქსელის, სატელეფონო საუბრებისა თუ პირადი შეხვედრების საშუალებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1)კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2)საგნობრივი კურიკულუმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სახელმწიფო ენა -** კურიკულუმი შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმის მიხედვით და ,ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა,რომ მასწავლებლის მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალება მე-8 კლასში ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, დავალების პირობა მკაფიო და ნათელია,განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები.უპირატესობა ენიჭება ისეთ დავალებეს,სადაც მოსწავლე გამოავლენს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარს.ამჯერად,სასწავლო წლის დაწყებამდე,კათედრის წევრები გეგმავენ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს სრულყოფას და თემის ფარგლებში მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული კოლმპლექსური დავალებების გაწერას.

მათმატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო

თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია შერჩეული კონკრეტული კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ-მაგალითები, სკოლას არ აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, მიუხედავად ამისა მათ საკმაოდ მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების განხორციელება გაწერეს საბაზო კლასებში, მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, 2023-2024 სასწავლო წელს სწავლება განახორციელოს ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, სწავლება ორიენტირებული იყოს მოსწავლეზე, რათა უზრუნველყოს მოსწავლის მთლიანპიროვნული ინტეგრირებული განვითარება და მაღალი სააზროვნო უნარების მობილიზება. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ ამ ტიპის დავალებების შესასრულებლად მოსწავლემ ძალისხმევა უნდა გაიღოს, მართოს საკუთარი სწავლის პროცესი, მიიღოს საინტერესო, მოულოდნელი და განსხვავებული გამოცდილება, გამოთქვას ვარაუდები, მოსაზრებები და შექმნას სხვადასხვა ვარიაციები

უცხოური ენები - სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული, რომელიც ცდილობს აჩვენოს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. შუალედური მიზნები, შესაბამისია სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრულია სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად.

ესთეტიკური მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე, წარმოდგენილი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, სკოლის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოები, სადაც გაწერილია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები საფეხურის დონეზე, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით). შუალედური მიზნების სახით კი წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები - რომელთა შესრულებისას მოსწავლეს სჭირდება სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის პიროვნული განვითარების საშუალებას, ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების, მათ შორის მეტაკოგნიტური უნარების განვითარების გამომუშავებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხური წარმოდგენილი კურიკულუმები, ქიმიის ბიოლოგიის და ფიზიკის საგნებში დაფუძვნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებზე, კურიკულუმებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რომლებსაც უკავშირდება სავალდებულო თემის ფარგლებში განსაზღვრული საკითხები. კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, რაც საერთო ჯამში ქმნის სამიზნე ცოდნას. პედაგოგებთან გასაუბრების დროს, ნათელი გახდა, რომ პედაგოგები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეების ინტერესებს, სურვილებს და შესაძლებლობებს, პედაგოგებს გააზრებული აქვთ თუ როგორ უწყობს ხელს კომპლექსური დავალება კონსტრუქტივისტული პრინციპების რეალიზებას, იციან როგორ იგება „სამიზნე ცოდნა“. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - გამომდინარე იქედან, რომ სკოლა არის მცირე კონტინგენტიანი სასწავლო პროცესში მაქსიმალურად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, მათი წინარე ცოდნა და ინტერესები. სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ არ აქვთ კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება, თუმცა, ახალი სასწავლო წლისათვის ისინი გეგმავენ ამ მიმართულებით პროცესების გაძლიერებას, რაც მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმებითაც დასტურდება. შესაბამისად, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მეტ-ნაკლებად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

სპორტი - სკოლის ფიზიკური აღზრდა და სპორტის საბაზო საფეხურის 7-9 კლასის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად და საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად დაგეგმვისა და განვითარებისათვის. მომავალი სასწავლო წლისათვის დაგეგმილ კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო თემებით (მძლეოსნობა და სხვადასხვა სპორტის სახეობები , თეორიული მიმართულება, ძალისმიერი ვარჯიშები, ლაშქრობა), გათვალისწინებულია სკოლის ინფრასტრუქტურაც. მოსწავლეთა ინტერესებიც, საჭიროებაც და შესაძლებლობებიც. ფიზიკური აქტივობებისათვის სკოლას აქვს შესაბამისი სპორტული მოედანი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2.**სახელმწიფო ენა -** საბაზო საფეხურის კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა გააზრებულია ერთი მხრივ, ფუნქციურ უნარებზე, მეორე მხრივ, კი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებით. საუბრისას გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, ემპათია, კომუნიკაცია)ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისუბრეს კომპლექსური დავალების განხორციელების შესახებ.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის დოკუმენტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შერჩეულია კომპლექსური დავალებები, შესაბამისი რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც შესაბამისობაშია სიღრმისეული სწავლების პრინციპებთან. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე.

უცხოური ენები - შერჩეული კომპლექსური დავალებები დაეხმარება მოსწავლეებს კომპონენტური უნარების განვითარებაში. მოსწავლეს მოუწევს ჩაერთოს კომუნიკაციაში, იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითი უნარი გამოიყენოს. გუნდური და ჯგუფური სამუშაო განუვითარებს თანამშრომლობის უნარს, ხოლო რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლის ხასიათს და პიროვნებას ჩამოაყალიბებს.

ესთეტიკური მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. კათედრების მიერ, მიზნის მისაღწევად შერჩეული კომპლექსური დავალებები და სასწავლო რესურსები იძლევა საშუალებას მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და მოხდეს სამიზნე ცნებების, ფუნქციური

უნარების (თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება) და მაკროცნების (კვლევა) განვითარება. განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლის პიროვნული განვითარებაზე ზრუნვა. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრებს დაგეგმილი აქვთ, სხვადასხვა თემის ფარგლებში, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების სრულყოფა და შექმნა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე ბიოლოგია, ქიმია ფიზიკის კურიკულუმებში განსაზღვრული კომპლექსური დავალებები ასრულებენ შუალედური მიზნის როლს, რომლებიც მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, საკითხები განსაზღვრულია თემის მისაღწევი შედეგებიდან გამომდინარე, რაც საგნობრივ კონტექსტებს მიზნისკენ მიმართავს. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად, ჩანს მათი დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი, მათი ნათქვამიდან გამომდინარე, მუდმივად ცდილობენ ხელი შეუწყონ მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, რასაც აღწევენ კომპლექსური ბუნების აქტიოვბებით, არაფორმალური განათლებით, ახლა კი გეგმავენ კომპლექსური დავალებებისა და სასკოლო პროექტების გააქტიურებით, მოსწავლეებში მოცემული უნარების განვითარების ხელშეწყობას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში მაქსიმალურად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები, რასაც ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა მცირე რაოდენობა. სკოლაში ამ ეტაპზე არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა, როგორც მასწავლბლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს ისინი მაქსიმალურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, აძლევენ მათ დავალების არჩევის

შესაძლებლობას, კომპლექსური დავალების პროდუქტის არჩევის თავისუფლებასა თუ სთავაზობენ სხვა ტიპის ქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს დიფერენცირებული პრინციპების სასწავლო პროცესში გამოყენებას.

სპორტი - სკოლის მიერ შედგენილი და წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ითვალისწინებს: სამიზნე ცნებების, რომელიცაა: ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი და ცხოვრების ჯანსაღი წესი და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებასა (6 უნარი) და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. (წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში იყო მცირედი უზუსტობა, ზოგიერთი კურიკულუმის ჩარჩოში, რამოდენიმე თემის გასწვრივ, აკლდა დავალების პირობის მინიშნება, რაც კოლეგების თქმით იყო ტექნიკური ხარვეზი გადაკოპირებისას და გამოასწორებენ სასკოლო გეგემის დამტკიცებამდე. მათ აქვთ მზაობა ამისათვის, რადგან თემების დანარჩენი ნაწილი იყო სრულყოფილად შეტანილი კურიკულუმში). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სახელმწიფო ენა** - მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები გათვლილია მაღალი, დაბალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. კათედრამ ინტერვიუს დროს ისაუბრა დიფერენცირების სწავლების მეთოდებზე და ჩანს ,რომ გააზრებული აქვთ მისი მნიშვნელობა სასწავლო პოზიტიურ გარემოს შესაქმნელად, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას და შესაძლებლობებს.

მათმატიკა - მართალია სკოლას არა ყავს სსსმ მოსწავლე, მიუხედავად ამისა, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ ესმით მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარლებში, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღმისეული სწვალა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლა აცნობიერებს, რომ ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის.

უცხოური ენები - უცხოური ენების კურიკულუმში გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები; კურიკულუმი დაგეგმილია თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; შუალედური სასწავლო მიზნის

მიღწევის ინსტრუმენტია კომპლექსური დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს (იგულისხმება არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლე, თუ დავალების ადაპტირებას საჭიროებს). ამ ეტაპზე სკოლას სსსმ მოსწავლე არ ყავს.

ესთეტიკური მეცნიერებები - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების განხილვისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მოსწავლეთა საჭიროებების კვლევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის გამოცდილება.პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს ინდივიდუალური საჭიროების მოსწავლე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასწავლო პროცესის დაგეგმვისას საბაზო საფეხური ბიოლოგია/ქიმიის და ფიზიკის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, ამგვარად მათ არ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავებული. სწავლების პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, ვინაიდან კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოცემულია კურიკულუმებში, ასევე აქამდე განხორციელებული სასწავლო აქტივობები მორგებული იყო მოსწავლეების საჭიროებებს, ინტერესებს, მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეები ჩართონ თავად შემქმედებით აქტიოვებში, სადაც მოსწავლეს უწევს თავად საკუთარი ხელით და უნარების გამოყენებით შექმნას რაიმე პროდუქტი, ამას ადასტურებს მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები, რომელიც სკოლაში ვიზიტის დროს

წარმოადგინეს პედაგოგებმა. დაგეგმვისას აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, ისეთი დავალებების შერჩევას, რომლებიც მოსწავლეებში დადებით ემოციებს წაახალისებენ. ვინაიდან მოსწავლეებს არ ჰქონიათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება, სიფრთხილით შეარჩიეს ისეთი დავალებები, რომლებიც მოსწავლეებისთვის არ იქნება სირთულე და საწყის ეტაპზე წაახალისებს მათ ჩართულობას დავალებაზე მუშაობის პროცესში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში მაქსიმალურად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები, რასაც ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა მცირე რაოდენობა. სკოლაში ამ ეტაპზე არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა, როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს ისინი მაქსიმალურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, აძლევენ მათ დავალების არჩევის შესაძლებლობას, კომპლექსური დავალების პროდუქტის არჩევის თავისუფლებასა თუ სთავაზობენ სხვა ტიპის ქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს დიფერენცირებული პრინციპების სასწავლო პროცესში გამოყენებას.

სპორტი - თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული და ინტერვიუს დროს პედაგოგებმაც აღნიშნეს, რომ სკოლაში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში , ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში და მათ აქვთ მზაობა , რომ სამომავლოდაც სასწავლო პროცესში გაითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მოახდენენ პროცესის მოდიფიცირებას. საგანში მოსწავლეზე მორგებული ინდგეგმა არ შეუდგენიათ, რადგან პედაგოგმა აღნიშნა, რომ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში არ ყავთ სსსმ მოსწავლე. თუმცა სკოლას აქვს მზაობა, საჭიროების შემთხვევაში ითანაშრომლოს სპეცმასწავლებელთან.

4. სახელმწიფო ენა - სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო გარემოს, სწავლების პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და შესაძლებლობებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე არსებული ცოდნის გამოყენებას რეალურ სიტუაციაში. მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოსწავლის პროგრესს. საბაზო საფეხურზე იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებას, ასევე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, ძირითადად, იყენებდნენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს (წაკითხულის გააზრების, პრეზენტაციის, ჩართულობის და სხვ). განმავითარებელი შეფასებისას მიმართავენ ზეპირ კომენტარს,როგორც აღნიშნეს სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ შექმნან კურიკულუმში წარმოდგენილი თემების მიხედვით.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში.

მათემატიკა - წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას . სკოლის მიერ, 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა. სამინისტროს მიერ ავტორიზაციის ქოუჩინგის ფარგლებში მიწოდებული მოდელის მიხედვით, ამის მზაობა მათ გააჩნიათ.

რჩევა:შეიქმნას 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე მათემატიკაში, საბაზო საფეხურის კლასებში, თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი

შეფასების რუბრიკები. ამასთან, კომპლექსური დავალებების პირობების შექმნისას გათვალისწინებულ იქნას დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

უცხოური ენები - განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აჩვენებს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე ადგენს მოსწავლის წინარე ცოდნას და წარმოდგენებს; გამოავლენს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; აჩვენებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. ამ ამოცანების შესრულება ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს.

ესთეტიკური მეცნიერებები - წარმოდგენილ მასალებში მოცემულია თემის ინდიკატორებსა და სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე ნიმუში, სადაც მოცემული კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს და საშუალებას იძლევა შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ სხვადასხვა სახის ზოგადი რუბრიკები, თუმცა წარმოადგინეს სამომავლო ხედვა მომდევნო სასწავლო წელს, რა სახით მოხდება შეფასება, კერძოდ სამ დღიანი ქოუჩინგის ფარგლებში შექმნილი განსაზღვრელი შეფასების განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც სკოლაში ვიზიტის დროსაც გადავხედეთ, გასაუბრებით ჩანს, რომ მათ გააზრებული აქვთ არსებული რუბრიკების მნიშნელობა, გამოყენების საჭიროება. განსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში შეფასება მიმართულია

თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორებზე ანუ გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილია ასევე, კომპლექსურ დავალებაზე დაფუძვნებული განმავითარებელი შეფასების ანალიტიკური რუბრიკა, სადაც გაწერილი აქვთ წინასწარი მოლოდინები, მკვიდრ წამროდგენებთან მიმართებით, სამიზნე ცნებების, ქვესაკითხების მიმართებით და აბსტრაქტულ დონეზე გააზრების შემთხვევაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ სკოლა არ იყო ჩართული ზოგადი განათლების რეფორმაში და მათ ნაკლები გამოცდილება აქვთ ამ მიმართულებით, განმავითარებელ შეფასებას ძირითადად ზეპირსიტყვიერად აწარმოებდნენ, ხოლო განსაზღვრელი შეფასებისათვის იყენებდნენ განმსაზღვრელი შეფასების სტანდარტულ რუბრიკებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ მხოლოდ რამდენიმე რუბრიკის შექმნა მოახერხეს ქოუჩინგის პროცესში, თუმცა, მათ მიერ შექმნილი რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, რათა ისინი მაქსიმალურად მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი გეგმავენ აღნიშნული მიმართულებით პროცესების გაძლიერებას, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავებას, რომელიც მაქსიმალურად მიმართული იქნება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორინტირებზე.

სპორტი - სკოლის მიერ შექმნილი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგანში საბაზო საფეხურისათვის შემუშავებულია ისე, რომ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. თუმცა, ისინი საჭიროებს დახვეწას, იმისთვის , რომ შეფასების რუბრიკებში სრულად იყოს გათვალისწინებული ე.ს.გ. მოთხოვნები, სასურველია რუბრიკები შემუშავდეს სასწავლო თემების შესაბამისადაც..

რჩევა: *სასურველი იქნება სამომავლოდ შეიმუშაონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კურიკულუმში შეტანილი სასწავლო თემების მიხედვით.*

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5. **სახელმწიფო ენა** - მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ გამოიყენონ წინა წლის წარმატებული პრაქტიკა და მუშაობენ სუსტი მხარეების გაუმჯობესებაზე. კათედრას ამ მიმართულებით აქვს გარკვეული გამოცდილება და მზად არიან გააუმჯობესონ მუშაობა ამ კუთხით.კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა გაითვალისწინეს წინარე გამოცდილების ანალიზი, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებული უკუკავშირი ,გაკვეთილის რეფლექსია, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, კათედრებზე კოორდინირებულმა მუშაობამ, ,,კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტმა ხელი შეუწყო გადამუშავებული კურიკულუმის შექმნას.

მათმატიკა - მათემატიკის საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლის პროცესში ისინი იყენებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების მეთოდს. საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია გასული სასწავლო წლის გამოცდილების გათვალისწინებით. მასწავლებლები აკეთებენ თვითშეფასებას (ანგარიშს), რომლის საფუძველზეც დგინდება სწავლებისათვის სკოლის საჭიროებები, დგება მომავალი სასწავლო წლის სასწავლო გეგმები. პედაგოგები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასკოლო აქტივობებისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც

ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. აღნიშნული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება 2023-24 სასწავლო წელსაც.

უცხოური ენები - სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილება და გამოწვევები. წარმოდგენილია კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია.

ესთეტიკური მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. აღნიშნული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება 2023-24 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებულ/რევიზირებულ დოკუმენტებში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ყურადრებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. ამის შესახებ ინფორმაციის მოგროვებას და ანალიზს ახდენენ კათედრის სხდომებზე, გამოცდილების ურთიერთგაზიარებით ზეპირსიტყვიერად , რის საფუძველზე ერთად გეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს. ბიოლოგიის მასწავლებელი აგრარული მიმართულებით კვლევითი პრაქტიკის გაძლიერების მიზნით ჩართული იყო პროექტში, რომლის ფარგლებში მიღებული გამოცდილება გამოიყენა სწავლების პროცესში და გაუზიარა კოლეგას. მომავალში გეგმავენ შეიმუშავონ წარმატებული გამოცდილების მექანიზმი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხუურუზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებმა ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს, რომ ისინი როგორც კათედრაზე თანამშრომლობით ასევე, კლასის დამრიგებლებთან თანამშრომლობით გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესს, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და უკუკავშირს და ასევე, ახდენენ მოსწავლეთა შემაჯამებლების ანალიზს და მიღებულ შედეგებს ითვალისწინებენ შემდგომი სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ და ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, რაც ჩანს საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმში და ასევე, გამოჩნდა მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში.

სპორტი - კათედრის ოქმებით ჩანს და ინტერვიუს დროსაც საუბრობენ, რომ კოლეგები ცდილობენ გაანალიზონ საკუთარი განხორციელებულ პრაქტიკა. გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და მიღებული რჩევები გაითვალისწინონ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. ცდილობენ გაითვალისწინონ წინარე გამოცდილების ანალიზი და მომავალი წლის კურიკულუმების შედგენისას შეიტანონ ის თემები , რომლითაც გასულ წელს მეტად დაინტერესდნენ მოსწავლეები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმების ჩარჩო
2. განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
3. მოსწავლეების ნამუშევრები
4. პროექტში მონაწილეობის სერტიფიკატები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

1.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სახელმწიფო ენა** - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა/სწავლების პროცესში სამომავლოდ,მეტი სიხშირით გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებს, რაც მოსწავლეს მისცემს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. მასწავლებელთა მიერ განხორციელებული გაკვეთილები მოწმობს იმას,რომ მოსწავლეები ეუფლებიან სწავლის სწავლას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.საგნობრივ კურიკულუმებში სწავლის დაწყებამდე ჩააშენებენ კომპლექსურ დავალებებს იდეების დონეზე, შერჩეული და განხორციელებული აქტივობები მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის საშუალებას.

მათემატიკა - ინტერვიუსას პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. ამით ცდილობენ გაზარდონ როგორც მოტივაცია, ასევე პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა; მაგალითად: საგნის კურუკულუმის შესწავლის დროს იდეა/კონტექსტ მაგალითების ველში ხშირად გვხდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა აღწერე მიჭისძვრის შედეგები, , დახატე გეომეტრიული ფიგურა,

დაადგინე ხის სიმაღლე, დაამზადე სათამაშო მანქანა, რაც ცალსახად გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოსწავლეები არიან ჩართული შემოქმედებითი პროცესებში. ასევე ეს გარემოება დადასტურდა საგნის მასწავლებლებელთან ინტერვიუს დროს დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებში.

უცხოური ენები - სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის მიერ დაგეგმილი და დაწერილი საბაზო საფეხურის კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებლი ქმნის გარემოს სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასთან, გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

ესთეტიკური მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები (იდეის დონეზე), წარმოდგენილია, როგორც პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კომპლექსური ბუნების დავალებების, სასკოლო პროექტების ტიპის მსგავსი აქტივობების განხორციელებით ბიოლოგია/ქიმია/ ფიზიკის მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას სასწავლო პროცესებში. ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული აქტივობებით პედაგოგები მოსწავლეთა ინტერესსა და ჩართულობას აძლიერებენ. ვინაიდან მოსწავლეები არიან სოფლის თემის ნაწილი, რომელთა ოჯახები აქტიურად მისდევენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, რომელიც მათი ყოფის ნაწილია, პედაგოგები ცდილობენ მოსწავლეებს დაეხმარონ აგრარული მიმართულებით ცოდნის გაძლიერებაში, რომელიც რეალურ ცხოვრებაში გამოადგებათ და განავითარებს და გააძლიერებს სოფელს, მოსწავლეებს განუვითარებს სამეწარმეო უნარებს. შერჩეული კომპლექსური დავალებების პროდუქტების შექმნით მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების რეალიზებას შეუწყობენ ხელს, ასევე მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებებით ქმნიან პოზიტიურ სასკოლო კლიმატს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - გამომდინარე იქედან, რომ სკოლა არის მცირე კონტინგენტიანი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საგაკვეთილო პროცესში, საგნის პედაგოგები ცდილობენ ისეთი დავალებების შეთავაზებას, რომელიც ხელს შეუწყობს მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას მათი ინტერესებიდან გამომდინარე. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას.

სპორტი - საბაზო საფეხურის (7-9 კლასები) კურიკულუმებში შეტანილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, მათზე დაგეგმილი ფესტივალები, ასევე ლასქრობისა და ფიტნესის მიმართულებით დაგეგმილი სასკოლო აქტივობები, სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე , იძლევა სწავლების თავისუფალი არჩევანის საშუალებას. თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოსავლენად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სახელმწიფო ენა** -მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს , რომ ისინი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობენ, განხორციელებული აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება , მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას , ინტერესებს , ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში , სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას, მომდევნო სასწავლო წლისათვის გადაწყვეტილი აქვთ ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელება.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალებების იდეა, კონტექსმაგალითები, რომელიც მოსწავლისთვის ნაცნობია, მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების

დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.

უცხოური ენები - სასწავლო თემები ისეა შერჩეული მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით, რომ დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა წარმოადგენს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კომპლექსური დავალებების პირობა ფორმულირებულია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანოს, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი და სხვა - ეს ყველაფერი ეხმარება სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ესთეტიკური მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალებების იდეა, კონტექსმაგალითები, რომელიც მოსწავლისთვის ნაცნობია, მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მასწავლებლებთან გასაუბრებით მტკიცდება, რომ ქიმია/ბიოლოგიისა და ფიზიკის მასწავლებლებს აქვთ გააზრებული მოცემული პრინციპის მნიშნელობა, აქტიურად ცდილობენ ახალი ცოდნის აგების პროცესში გამოყენებული დავალებები და აქტივობები დააფუძნონ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ამას ადასტურებს კურიკულუმებში კომპლექსური დავალებებისთვის მოცემული კონტექსტ-მაგალითები და სასწავლო რესურსებიც.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მცირე კონტინგენტიდან გამომდინარე, მასწავლებლებს აქვთ მეტი შესაძლებლობა იმისათვის, რომ გაიგონ თითოეული მოსწავლის წინარე ცოდნა, ინდივიდუალური შესაძლებლობები თუ ინტერესები და ცდილობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს მაქსიმალურად გაითვალისწინონ თოთოეული მოსწავლის წინარე ცოდნა. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას,

სპორტი - პედაგოგების თქმით, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლე წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით იღებს და შეიმეცნებს ახალს. ეს პროცესი აადვილებს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლას. პედაგოგმა სიტყვიერად აღწერა მის მიერ განხორციელებული საგაკვეთილო პროცესი ინტერვიუსას. სამომავლოდაც მისგან ჩანს მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგარძელებისა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სახელმწიფო ენა** - მასწავლებლებმა ისაუბრეს სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე,კერძოდ, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე,აღნიშნეს,მიუხედავად იმისა,რომ მეტწილად მიმართავენ ამ ტიპის აქტივობებს,ფიქრობენ რომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ამ უნარების განვითარებას, რეკომენდაციად მიიღეს,გამოიყენონ სწავლების პროცესში კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ კომპლექსური დავალების შეკითხვების ბანკი,ამ შეკითხვებზე პასუხით მოსწავლეები გაანალიზებენ თითოეულ ნაბიჯს,თითოეულ დეტალს,რაც სასწავლო პროცესს უკავშირდება.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს გაითვალისწინოს სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. საბაზო საფეხური საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი მეტად გააკეთონ სწავლის სწავლაზე.

უცხოური ენები - უცხოური ენების საბაზო საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებთან. რაც გულისხმობს მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავენ

ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. ეფექტიანი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. ამისათვის, ა) კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ბ) სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. გ) მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. დ) წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა).

ესთეტიკური მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე, კომპლექსური დავალებების წარდგენის ბოლოს აპირებენ გამოიყენონ შეკითხვები, რომლითაც მოსწავლეებს დააფიქრებენ საკუთარი სწავლების პროცესზე,

ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გაცნობიერებაზე. ეს შეკითხვები მოცემულია მატრიცებში კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების ბოლოს. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები ცდილობენ და ეცდებიან მეტად დააფიქრონ მოსწავლეები თავად, სასწავლო პროცესებში მათ როლზე, ჩართულობაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრების მიერ შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ შეაფასონ და წარმართონ თავიანთი სწავლის პროცესი, თუმცა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ სჭირდებათ ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, მოსწავლეებში თვითრეფლექსიური უნარების ხელშეწყობა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტის ხელშეწყობა სასწავლო პროცესში.

სპორტი - როგორც მასწავლებელმა გასაუბრების დროს აღნიშნა,. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ სახალისო და საინტერესო აქტივობებში (მაგალითად ფესტივალები სპორტის სხვადასხვა საეობაში, ძალისმიერი ვარჯიშები, ლაშქრობა, არაფორმალური მიმართულებით აქტივობები), რომლებიც მათ არსებული ფიზიკური თვისებების განვითარების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის გამოვლინებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს და ეხმარება ნასწავლის გაანალიზებაში, შემეცნებასა და შეფასებაში. სკოლისაგან ჩანს მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგარძელებისა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სახელმწიფო ენა -** ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში,მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში,მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.შეხვედრისას მასწავლებლებმა ისაუბრეს და მოსწვლეთა ნამუშევრებიც წარმოადგინეს.

მათმატიკა - წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს სასკოლო კურიკულუმები დაწყებითი საფეხურის ყველა კლასისთვის. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. საბაზო საფეხურის მათემატიკის სასწავლო კურიკულუმები შეიქმნა მსგავსი კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, რომლითაც მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას.

უცხოური ენები - . ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება **უცხოური ენების საბაზო საფეხურის** საგნობრივ პროგრამაში. სასწავლო პროცესში მოსწავლე დაამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას. გაეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც (დეკლარატიული ცოდნა), დასვამს და უპასუხებს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. მოსწავლე ასევე შეიმუშავებს მოქმედების წესებს და ალგორითმებს და შეასრულებს

მას, შეძლებს ზუსტად განსაზღვროს მოქმედების ნაბიჯები და თანმიმდევრობა, გამოიმუშაოს გარკვეული უნარები. მაგალითად ტექსტის დამუშავებისას იცის რა მოქმედებები განახორციელოს, როგორ წაიკითხოს, სად და როგორ მოძებნოს ახალი სიტყვები და ა.შ. პროცედურული ცოდნა არის ყველაფერი რაც კი ნასწავლი აქვს მოსწავლეს სწავლის სტრატეგიების შესახებ. პირობისეული ცოდნა კი მოითხოვს მოსწავლისგან ცოდნის მოქმედებაში გადატანას, მის ინსტრუმენტალიზაციას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. მოსწავლეს მოუწევს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობა. პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლეს მოუწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა.

ესთეტიკური მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს სასკოლო კურიკულუმები დაწყებით საფეხურის ყველა კლასისთვის. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, მოსწავლე მოცემული დავალების შესრულებაში უწევს სამივე კატეგორიის ცოდნის ურთიერთდაკავშირებულად გამოყენება. გეგმავენ განახორციელონ სასკოლო პროექტი პრიორიტეტულ თემებთან დაკავშირებით, მიეცათ რეკომენდაციები საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვასთან დაკავშირებით, კვლევითი კომპონენტის გაატიურების მიზნით, რომელიც მეტად დაეხმარება მოსწავლეებს შეძენილი ცოდნის ტრანსფერში. ცნობიერების ამაღლების მიზნით სასკოლო თემში, განახორციელეს აქტივობები დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის ფარგლებში, კლასებში გამოფინეს შესაბამისად გაფორმებული საინფორმაციო პოსტერები, რომლის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს საბაზო და დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა. მტკიცებულებად გამიყენებულია , მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოკვეთილი პრაქტიკა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, რომლებიც გამოფენილია სასკოლო სივრცეში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კომპლექსური დავალებებით მუშაობა იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლემ შეძლოს როგორც თეორიული ცოდნის მიღება, ისე სხვადასხვა ქმედების შესრულება და მისი შემდგომი საჭიროებისამებრ გამოყენება. საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების, კომპლექსური დავალებების ანალიზისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ, დადგინდა რომ სასწავლო პროცესი მეტ-ნაკლებად ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობასა და განვითარებას.

სპორტი - პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდა და სპორტის პედაგოგის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. მასწავლებელი

უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნის მიღებას და განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ. ახალი მასალის ახსნისას, პრაქტიკული მიმართულებით, ის ჯერ უხსნის მოსწალეს თემაში ცალკეულ ტექნიკურ ელემენს, თავად ასრულებს მას, შემდეგ მოსწავლეს ამეორებინებს და ბოლოს ჩართავს მას სახეობაში ორმხრივ თამაშში მიღებული ცოდნის გამოსაყენებლად. ეს პრაქტიკა აღწერა პედაგოგომა გასაუბრებისას. სკოლისაგან ჩანს მზაობა სამომავლოდაც ამ პრინციპით მუშაობის გაგარძელებისათვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5. **სახელმწიფო ენა -** მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, იმდენად რამდენადაც მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნის ფარგლებში ნასწავლის მასალის გამოყენება კომპლექსური დავალებების შესასრულებლად. გარდა კომპლექსური დავალებებისა, საბაზო საფეხურზე განხორციელებული აქვთ სასწავლო პროექტები.

მათემატიკა - სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით საბაზო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ცოდნის ორგანიზებისთვის ტარდება შემაჯამებელი სამუშაოები. იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები , მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე (ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს „უკუსვლით დაგეგმვის“ მიდგომაც დაეხმარებათ

მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებას, ვისურვებდი უფორ მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი ჰქონოდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ნიმუში, თუმცა, ინტერვიუმ მაჩვენა, რომ საბაზო საფეხურის კათედრას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა(მათემატიკა და ი.ს.ტ-ის საგნებს შორის, მათემატიკა და ფიზიკის საგნებს შორის) .

უცხოური ენები - სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება მეტად მნიშვნელოვანია. საგნობრივი კურიკულუმი, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზას წარმოადგენს. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თემა ეს არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. თემა ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.

ესთეტიკური მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ

თვალსაზრისით. კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა, ხოლო კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. მასწავლებლებს კარგად ესმით, რომ კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - პედაგოგები ცდილობენ მათ მიერ განხორციელებული, მომდევნო სასწავლო წლისთვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებებით გააქტიურონ მოცემული პრინციპი. სასკოლო პროექტებზე მუშაობით, რომელშიც ჩართული იქნებიან საბაზო საფეხურის მოსწავლეები. გეგმავენ ეკო-კლუბის შექმნას, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინიციატივები. ცოდნის ორგანიზების, მსჯელობის, მოსწავლეთა ინტერესი გაზრდის მიზნით ქიმიის ,ბიოლოგის/ფიზიკის პედაგოგები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს სხვა კათედრის მაგალითად, ხელოვნების საგანთან.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ მწირი გამოცდილება აქვთ კომპლექსური დავალებებით მუშაობის მიმართულებით, თუმცა, აქვთ მაღალი მზაობა აღნიშნული პროცესის განსახორციელებლად, სკოლა გეგმავს კომპლექსური დავალებების აქტიურ გამოყენებას ახალ სასწავლო წელს. საბაზო საფეხურის კურიკულუმში

წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომელიც იძლევა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აპირებენ ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სასკოლო პროექტების განხორციელებას, რომელიც ასევე ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკვშირებასა და ორგანიზებას.

სპორტი - ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგნისთვის შედგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. შერჩეული სასწავლო თემების მიხედვით დაგეგმილი კომპლექსური დავალებების მომდევნო სასწავლო წლიდან სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში, რომელშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სახელმწიფო ენა** - როგორც აღინიშნა,სასწავლო პროცესი მიემართება სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას.მასწავლებლებმა სამომავლოდ უნდა შეარჩიონ ისეთი კომპლექსური დავალებები , რომლებიც განსაზღვრავს იმ

ცოდნას , რასაც მოსწავლე საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს და ახალი სასწავლო წლიდან შეიტანონ ცვლილებები თემატურ მატრიცაში.

მათმატიკა - საბაზო საფეხურის მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნების ძირითადი საკითხები შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა.

უცხოური ენები - სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმში ჩანს რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მოცემული საგნობრივი საკითხები ერთის მხრივ მიმართულია სამიზცნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისკენ, უკავშირდება სამიზნე ცნების ქვეცნებებს, სავალდებულო თემებში გამოყოფილი საკითხები სრულად მისცემს საშუალებას პედაგოგს გაიყვანოს მოსწავლეები თემაში განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმებში სამიზნე ცნებებისთვის განსაზღვრული აქვთ შესაბამისი ქვეცნებები, შინაარსობრივად მიმართულია საკითხთა კლასტერისკენ, სამიზნე ცნებისკენ, მასწავლებლებთან სკოლაში ვიზიტის დროს

გასაუბრებით,დამატებითი შეკითხვებით, ნათელი გახდა, რომ სკოლას სჭირდება მეტი გამოცდილების დაგროვება და მხარდაჭერა სასკოლო კურიკულუმების, ესგ-ის დანერგვის პროცესების კონცეპტუალური მხარის გააზრებასთან, გათავისებასთან დაკავშირებით. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, ესგ-ის დანერგვისა და განვითარების აუცილებლობა, აქვთ მზაობა პრაქტიკაში გამოცადონ კომპლექსური დავალებები. გააზრებული აქვთ კავშირი მიზანს, სწავლის მექანიზმებსა და სასწავლო მასალა/რესურსებს შორის, აქვთ მოტივაცია, შესაძლებლობა და მზაობა ესგ-ით განსაზღვრული მოთხოვნების რეალიზების.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო შედგება კომპლექსური დავალებებისაგან, კომპლექსური დავალებები კი სამიზნე ცნებებზე და მკვიდრ წარმოდგენებზე ორიენტირებულად მუშავდება, რაც თავისთავად გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული.

რჩევა: სკოლას ვურჩევდი, რომ მეტი აქცენტი გაეკეთებინათ საგნობრივ საკითხებზე, საკითხთა კლასტერზე, რათა ისინი მაქსიმალურად მოერგოს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს.

სპორტი - გასაუბრებსას აღნიშნეს პედაგოგებმა და შედგენილი კურიკულუმებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებთან; პედაგოგის აღწერით, შედგენილ კურიკულუმებში შეტანილი თემების მიხედვით, სასწავლო პროცესი ისე აქვს დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სახელმწიფო ენა- გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში,ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე,პერსონაჟის თვისებებზე დაკვირვება,მისი ხედვის კუთხიდან მოვლენების შეფასება, აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას დაფიქრდეს მორალურ-ეთიკურ ღირებულებებზე,მართონ საკუთარი ემოციები.მაგ-თხზულების დაწერა- პირადი მოსაზრების გამოხატვა,ანალიტიკური ესეს დაწერა,ფსიქო-ემოციური განვითარება ასევე მოიცავს თვითმართვის უნარსაც, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. აღნიშნული უნარის მოსწავლეებში ჩამოყალიბებას ხელი ეწყობა თუნდაც კომპლექსური დავალებების დროს საკუთარი სამუშაო პროცესისა და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც იგი აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავთარბელი შეფასებით მათ საშუალება აქვთ იცოდნენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში.

მათმატიკა - საბაზო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო, მოსწავლეები გრძნობენ , რომ მათი ხმა ესმით და მნიშვნელოვანია, განმავითარებელი შეფასებები და კომენტარები, დამრიგებელთა მიერ ჩატარებული კლასის საათები, ექსკურსიები, გასვლითი ღონისძიებები, ყველაფერი ეს

მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში, თვითშეფასების ამაღლებაში, სოციალური უნარების განვითარებაში და ემოციების მართვაში. საბაზო საფეხურზე მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ძირითადი თემებია განსაზღვრული, უმეტესობა თემების დაგეგმილია დაფარონ კომპლექსური დავალებებით. ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა, თუ როგორ წარიმართება მათი სასწავლო პროცესი კურიკულუმების მიხედვით, რა რესურსებით გეგმავენ შესაბამისი აქტივობების გამრავალფეროვნებას მოსწავლეებში მოცემული თემის შესწავლისათვის მეტი მოტივაციისა და ინტერესის გაზრდისათვის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას.

უცხოური ენები - საგნობრივი კონტექსტი ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესზე. შესაბამისად ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კომპლექსური დავალებები იმგვარად აქვთ შერჩეული, რომ მეტ-ნაკლებად ცდილობენ ხელი შეუწყონ მოსწავლეების ფსქიო-სოციალურ განვითარებას, რაც იმას გულისხმობს, რომ მასწავლებლები გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინიციატივებს, თუნდაც დავალების პროდუქტის ფორმის, პროდუქტის შექმნის სივრცესთან დაკავშირებით. ვინაიდან მათ არ ჰქონიათ შესაბამისი გამოცდილება, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის, სიფრთხილით და

პოზიტიური მოლოდინებით გეგმავენ და აპირებენ გააქტიურონ საგნობრივ კურიკულუმში ასახული საგნობრივი კონტექსტები. ამ მიმართულებით შესაბამისი მტკიცებულებათა დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი, თუმცა გასაუბრების დროს აღნიშნავენ, რომ აწყობენ შემეცნებით ექსკურსიებს/პიკნიკებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმში შერჩეული კომპლექსური დავალებები, იძლევა მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალური განვითარების შესაძლებლობას. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოხატონ თავიანთი ემოციები და მოსაზრებები, ასევე, მოისმინონ და გაიზიარონ სხვების ემოციები და მოსაზრებები. მასწავლებლები მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას თავად გააკეთონ არჩევანი თუ რომელ საკითხზე ან რა სახით/პროდუქტით წარმოადგენენ კომპლექსურ დავალებას.

სპორტი - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები , სპორტული ღონისძიებები ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით, უზრუნველყოფს ფიზიკური უნარების განვითარებას, ორგანიზებულობა და თვითკონტროლის უნარების გააქტიურებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების გააზრებას. კურიკულუმებში გაწერილ თემების მიხედვით, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი და განსახორციელებელი პროექტები ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ კეთილდღეობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. **სახელმწიფო ენა** - როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა კათედრას აქვს შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, თეორიულად გათავისებული აქვთ განმავითარებელი შეფასების მექანიზმი,ახალი სასწავლო წლიდან შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

მათემატიკა - საბაზო საფეხურზე დანერგილი შეფასების სისტემა, რომელიც ძირითადად ხორციელდება და ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას, მისი ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ამისათვის გამოიყენება განმავითარებელი შეფასების ფორმები: ტესტები, განმავითერებელი კომენტარები, შეფასების რუბრიკები, პროექტები და სხვა. შეფასება არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე და ემსახურება მოსწავლის პროგრესს, თუმცა საჭიროა მეტად დაიხვეწოს შეფასების სისტემა, რათა უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარება. საბაზო საფეხურის მასწავლებლები მოსწავლეებს აფასებენ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. მათ გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი , ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და სასწავლო პროცესის დაწყებამდე გეგმავენ შექმნან შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში.

უცხოური ენები - სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრას საბაზო საფეხურის კურიკულუმის შესაბამისად შემუშავებული აქვთ როგორც კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობებისთვის. მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ ორი ტიპის შეფასებას (განმსაზღვრელი და განმავითარებელი).

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე გამოიყენება, როგორც განმავითარებელი, ასევე განსაზღვრელი შეფასება. პედაგოგებთან ინტერვიუდან გამომდინარე, მასწავლებლები განმავითარებელ შეფასებას იყენებენ მოსწავლეთა ცოდნისა და სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის, რომელიც წარმოებს ზეპირსიტყვიერად. პედაგოგებთან ინტერვიუდან გამომდინარე, მასწავლებლები განმავითარებელ შეფასებას იყენებენ მოსწავლეთა ცოდნისა და სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის, შეფასებას აწარმოებენ ზოგადი სახის რუბრიკებზე დაფუძვნებით, სადაც ფასდება მოსწავლეთა ჩართულობა, დავალებების შესრულების ხარისხი და ა.შ სოლო ტაქსონომიით შეფასების გამოცდილება არ ჰქონიათ. შეფასების სისტემა ნაწილობრივ უჭერს მხარს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. გამომდინარე იქედან, რომ სკოლა არის მცირე კონტინგენტიანი, მასწავლებლებს აძლევს მეტ შესაძლებლობას მრავალმხრივ შეისწავლონ თავიანთი მოსწავლეები და ხელი შეუწყონ მათ ცოდნის, უნარებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებაში.

სპორტი - სკოლის მიერ შექმნილი ფიზიკური აღზრდის საგნისთვის შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტით გაწერილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან და გათვლილია მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებაზე, კოლეგების თქმით, ისინი ხშირად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შემდგომ განვითარებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4.სახელმწიფო ენა - მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის შესახებ, გაცნობიერებული აქვთ ის,რომ შეფასება მაშინ არის სანდო, როცა კრიტერიუმები იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას.რაც შეეხება შეეხება გამჭვირვალობას, მასწავლებლების თქმით რუბრიკები გამოკრული აქვთ საკლასო ოთახში, ასევე აცნობენ წინასწარ და ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი არის გამჭვირვალე. თვითშეფასების კითხვარშიც ნახსენებია, რომ რუბრიკები ცნობილია მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის. მტკიცებულებებსა და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით,შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა იმუშაოს ამ მიმართულებით.

მათემატიკა - სკოლაში დანერგილია ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემა. გამოიყენება განმავითარებელი შეფასების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: განმავითარებელი კომენტარი, ზეპირი და წერილობითი უკუკავშირები, შეფასების რუბრიკები. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება დირექციასა და პედაგოგთა შეხვედრებზე; პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს; მათემატიკის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუსას გაირკვა რომ შეფასება არის ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც მასწავლებელმა მათ გააცნო. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა, თუმცა რუბრიკები ცალკეული აქტივობებისთვისაა.

რჩევა:შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან შეიქმნას თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის, ხოლო

მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე.

უცხოური ენები - სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია ამ ეტაპზე ის სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული, გააზრებულია, მაგრამ გაზიარებული არ არის, იგეგმება სასწავლო პროცესის დაწყებისას გაზიარება. შეფასების სისტემური ხედვა ასახავდეს შემდეგ საკვანძო საკითხებს: შეფასების კონცეფციას, მეთოდიკურ ორიენტირებს და მიდგომის შემუშავებას, შეფასების მიზნის განსაზღვრას, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას. სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს აქვს განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე ქიმია,ბიოლოგია, ფიზიკის საგანში მტკიცებულების სახით წარმოდგენილია ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომელსაც იყენებდნენ წინა წლებში, თუმცა ამ მომენტისთვის შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სამივე საგანში, რომელზე დაფუძვნებითაც პედაგოგებუ გეგმავენ აწარმოონ შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი, ამდენად შერჩეული ინსტრუმენტი შეესაბამება მიზნებს, მოსწავლის საჭიროებებს და სწავლა-სწავლების რესურსებსა და დროს. მიზანი განსაზღვრავს როგორც შეფასების შინაარსს (რა უნდა შეფასდეს, რა შედეგი/სამიზნე ცნება არის შეფასების ორიენტირი), და ასევე პროცესს, რომლითაც ეს შედეგი მიიღწევა. შეფასების რუბრიკასა და მექნიზმში ნათლად არის ასახული რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება.შეფასების სისტემა შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის,

გაზიარებულია შეფასების ხედვა, გასაუბრების დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ აპირებენ გაზარდონ მოსწავლეების ჩართულობა შეფასების დიზანის შემუშავებაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ წარმოებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. თუმცა, სკოლას შესამუშავებელი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და როგორც თავად აღნიშნავენ, შემდეგი სასწავლო წლისათვის გეგმავენ აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას.

სპორტი - .გასაუბრებისას აღნიშნეს კოლეგებმა, რომ ისინი იყენებენ პრაქტიკაში შეფასების ინსტრუმენტებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს დაგეგმილი კომპლესური დავალებისა თუ შემაჯამებელისათვის. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

რჩევა: სასურველი იქნებოდა ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის დახვეწა, მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა. სასურველი იქნებოდა შემოთავაზებული სადიაგნოსტიკო შეფასების შერჩეული ინსრტუმენტის სასწავლო წლის განმავლობაში 2-3 ჯერ გამოყენებაც, რაც დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

5. სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ, შესაბამისად ინსტრუქციაზე დაყრდნობით აპირებენ შეფასების ვერაფიკაციის მექანიზმის დანერგვა-განხორციელებას. გარდა ამისა,

ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შედეგების ანალიზი ხდება შემაჯამებელ სამუშაოებზე დაყრდნობით. გამომდინარე აქედან, სკოლას აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი/ინსტრუქცია.

რჩევა: ინსტრუქცია არის ზოგადი და საჭიროებს დახვეწა/გაუმჯობესებას, ნაბიჯებისა და პროცედურების დაკონკრეტებას, მოსწავლეთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმზე მეტ აქცენტირებასა და შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევას, რომლითაც განხორციელდება აღნიშნული პროცესი.

6. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
- განმავითარებელი შეფასების და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
2. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
3. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრების მიერ საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი მტკიცებულებები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი საათობრივი ბადე. საგნობრივი პროგრამების შინაარსი, რაც გათვლილია მოსწავლეთა პიროვნული ზრდისთვის. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ემსახურება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. ხოლო მოსწავლეთა შეფასება ხდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი კომენტარით. საგნობრივ კათედრებს შექმნილი აქვთ შეფასების კრიტერიუმები და იგი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.

მოსწავლეთა მცირერიცხოვნებიდან გამომდინარე სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო, მიმღებლობა და ღიაობა. სკოლაში სასწავლო პროცესის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოდ რეალიზებისათვის სკოლას ესახება კოლეგების ურთიერთანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის" განოყენაბას ეფუძნება. ამ დროს ხდება ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი, ჯანსაღი კრიტიკა და ეფექტური უკუკავშირი, ასევე გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციების გაცემა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. განხორციელებული აქვთ სხვადასხვა სახის პროექტები, კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სადაც ნაჩვენებია კურიკულუმის შემუშვების ამსახველი დოკუმენტაცია, სასკოლო პროექტები, გაკვეთილებზე ურთიერთ დასწრება, ადასტურებს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუს დროს გამოთქმული მოსაზრებები იძლევა იმის თქმის საშუალებას რომ სკოლაში

უზრუნველყოფილია უსაფრთხოება, სწავლა სწავლების პროცესი და მისი მხარდაჭერა, ინტერ პერსონალური და პროფესიულ ურთიერთობები, მართვის სტილი, ინსტიტუციურ გარემო, როგორც ავთენტური სივრცე სასკოლო საზოგადოებისათვის. პოზიტიური სასკოლო კლიმატი ძლიერ თანამშრომლობით კავშირს ამყარებს სასკოლო საზოგადოებას შორის, იყენებს გაზიარებულ ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლა იყენებს პოზიტიურ სასკოლო კლიმატის ფაქტორებს. კერძოდ, აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა. პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად გარდა კურიკულარული პროცესებისა სკოლა გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. კერძოდ, სამოქალაქო აქტივობებისა და პროექტების წახალისება მოსწავლეებში ძირითადი მორალური ფასეულობების დამკვიდრების მიზნით; ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებები; თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება; მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები და სხვა. ეს აქტივობები ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. იგი ასახულია არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, ყველა ზემოთ მოცემული განზომილებების მიხედვით. მაგ: მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1)სასკოლო სასწავლო გეგმა

2)კათედრების ოქმები

3)ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი რომელიც ვითარდება მონიტორინგის და შეფასების მეშვეობით. მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების დაწყებამდე შემუშავებულია მეთოდოლოგიური ჩარჩო/გეგმა, რათა მკაფიო იყოს რა კითხვებზე პასუხის გაცემას ემსახურება შეფასება. მეთოდოლოგიური ჩარჩო გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმის და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. მონიტორინგის მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს: მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, ინდიკატორების

განსაზღვრა, მონაცემთა შეგროვების მეთოდებისა და ვადების განსაზღვრა, როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა, ანალიზისა და ანგარიშგების გეგმის შექმნა, შედეგების დისემინაცია და ასახვა.

2. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. მასწავლებელებთან ინტერვიუებიდან დგინდება, რომ სასწავლო წლის დასრულებისას თითოეულმა მასწავლებელმა გაანალიზა მიღწეული შედეგები ესგ-სთან მიმართებაში. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მასწავლებლების შეხვედრები ინფორმაციის, პირადი გამოცდილების გაზიარებისა და კურიკულუმის დახვეწის მიზნით. მიღებული შედეგები საფუძვლად დაედო 2023-2024 სასწავლო წელს სასკოლო კურიკულუმის შექმნას. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიეს საფეხურებვის მიხედვით კურიკულუმებში სასწავლო საკითხები, შეადგინეს კომპლექსური დავალებები ცნებების მიხედვით, მოიფიქრეს საკვანძო შეკითხვები და აქტივობები.

ყველა საგნის კურიკულუმები, შემუშავდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში,შესაბამისი საგნების მასწავლებლების მიერ კოლეგებთან თანამშრომლობით. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები.მასში ასევე ასახულია სასკოლო თემის ინტერესები. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მეტად სრულყოფენ კურიკულუმს კომპლექსური დავალებებით, ამასთანავე შექმნიან როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი კურიკულუმის შექმნისას კათედრაზე აქტიურად თანამშრომლობენ წლის განმავლობაში. აკვირდებიან სასწავლო პროცესს, წარმოადგენენ ანგარიშებს, რის საფუძველზეც იგეგემება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული სასწავლო პროცესი, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით ქმნიან გეგმავენ სასკოლო პროექტებს, აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტში ასახულია კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვის მექანიზმები. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობენ ყველა საგნის მასწავლებლები და მისი შემუშავება ხდება კათედრებზე. ასევე ისინი ითვალისწინებენ, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლეთა ინტერესებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მორგებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზე, რაც კარგად გამოჩნდა მასწავლებლებთან ინტერვიუს ჩატარების დროს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო სასწავლო გეგმა

2.კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც

ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასებაზე, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მაგ. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ზეპირსიტყვიერად განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების ფარგლებში შერჩეული ძირითადი საკითხების, კომპლექსური დავალებების მიხედვით. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია შეგროვდება რაც შეიძლება მრავალფეროვანი წყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება).

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოგიის დოკუმენტში აღწეროს და გაითვალისწინოს ყველა ეს ნიუანსი.

3. სკოლა მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აკვირდება საგაკვეთილო პროცესს, სასკოლო კურიკულუმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, სტრატეგიული გეგმის მიმდინარეობას. ხდება მონიტორინგის შედეგების ანალიზი თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. ამ ეტაპისთვის **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია შეფასება სხვასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის მიერ მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნა, პროგრესი, საკლასო გარემო, სასწავლო რესურსები, მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები, რომელმაც ზეგავლენა მოახდენს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე.**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1)სასკოლო სასწავლო გეგმა

2)ინტერვიუს შედეგები

3)შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ადოგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიიდან ჩანს და ინტერვიუს დროს მასწავლებლებმაც აღნიშნეს, რომ პერიოდულად ახორციელებენ სასწავლო პროცესის გადასინჯვასა და რევიზიას. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა ან მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრისა და დირექციის მუშაობა. მონაცემთა შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმების შესამუშვებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სსიპ - ადოგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმების განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმებში. ხოლო კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1) სასკოლო კურიკულუმის შემუშვებისა და განვითრების მეთოდოლოგია (ბრძანება 06.09.2023 #46)

2) სასკოლო სასწავლო გეგმა

3) საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

20 ნოემბერი, 2023 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: